# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 23 მაისი. 2019 წ. №102 (8768) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

## ნაცები „გააპეტუხდნენ“, იჩხავლეს, იყვირეს, ტანზე შემოიხიეს და წააგეს!..



3 სიმართლეს ვერსად დამალავთ!..

## ზუგდიდში არჩევნები ელარჯმა, ხარჩომ და გებჟალიამ მოიგეს!

**საარჩევნო პერიოდში ზუგდიდში ჩამოსული სტუმრები ყველაზე ხშირად მეგრული კერძებიდან რესტორან „დიარონში“ ელარჯს და გებჟალიას უკვეთავდნენ. როგორც „ლაივპრესს“ რესტორანში განუცხადეს, მხოლოდ 10 დღეში 1 ტონა ყველი დახარჯეს.**

**„იყო შემთხვევები, როცა ერთ დღეში 100 კილოგრამი და მეტი ყველი გამოგვიყენებია“,** — გვითხრეს „დიარონში“.

ქალაქის ცენტრში, სიდიდით მეორე რესტორან, „მენძელში“ კი გვითხრეს, რომ ელარჯის გარდა, ყველაზე ხშირად სტუმრები ხბოს ხორცის ნიგვზიან ხარჩოს და კუპატს ითხოვდნენ. რესტორანში დახარჯული პროდუქტის რაოდენობას ვერ გვეუბნებიან. წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკოსების მხრიდან გამაფრთხილებელი განცხადებების ფონზე, ზუგდიდის მერის რიგგარეშე არჩევნები განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. ქალაქს საარჩევნო კვირაში უამრავი სტუმარი ჰყავდა.

სტუმრებმა ყველაზე მეტი „ხმა“ ელარჯს, მეგრულ ხარჩოს და გებჟალიას მისცეს!



## სტანისლავ კარჩევსკი: 26 მაისი პოლონეთში დედის დღეა!

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი პოლონეთის რესპუბლიკის სენატის მარშალი სტანისლავ კარჩევსკი, სენატის წევრები და დელეგაციის სხვა წევრები მიიღო. საპატრიარქოს ინფორმაციით, შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოსა და პოლონეთს შორის არსებულ მეგობრულ ურთიერთობებს, ასევე იმ პრობლემებს და გამოწვევებს, რომელთა წინაშეც ქვეყნები და მსოფლიო დგას.**

მათივე ინფორმაციით, სტანისლავ კარჩევსკიმ ისაუბრა ქვეყანაში ქრისტიანობის გავლენაზე და აქედან გამომდინარე, ოჯახის როლზე. აღნიშნა, რომ ამ კუთხით პოლონეთსა და საქართველოს ბევრი საერთო აქვთ და რომ პოლონეთიც მხარს უჭერს ტრადიციულ და მტკიცე ოჯახს. მანვე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს გააცნო პოლონეთში მოქმედი სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს შობადობის ზრდას. პოლონეთის პარლამენტის თავმჯდომარემ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ქვეყნის დამოუკიდებლობის დღე წინასწარ მიულოცა და დასძინა, რომ 26 მაისს პოლონეთში აღინიშნება დედის დღე.

**„ჩვენთვის, ისევე როგორც ქართველებისთვის, დედა განსაკუთრებით პატივსაცემი და ძვირფასია. იგი გვახსენებს დედა ღვთისმშობელს“,** — განაცხადა სტანისლავ კარჩევსკმა.

მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ პოლონეთის რესპუბლიკის სენატის მარშალს საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და დაეთანხმა სტუმარს, რომ თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტრადიციული ოჯახის მხარდაჭერას და ქრისტიანული ღირებულებების გაძლიერებას.

## ყველა სტუდენტს, მეცნიერს, მკვლევარს სამეცნიერო ბაზებზე სრული წვდომა ექნება!



**განათლების რეფორმის ფარგლებში, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და მსოფლიოს უმსხვილეს სამეცნიერო ბაზას — Elsevier შორის თანამშრომლობის ახალი ეტაპი იწყება, რომლის ფარგლებში საქართველოში აკრედიტებულ ყველა სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებელს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და კვლევით ცენტრებს Elsevier-ის სამეცნიერო ბაზებზე წვდომა შეუფერხებლად ექნებათ.**

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სრული დაფინანსებით ქართველ მეცნიერებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს თავიანთი უნივერსიტეტებიდან შეეძლებათ, ისარგებლონ ისეთი ბაზების სამეცნიერო რესურსებით, როგორებიცაა: Scopus და Science Direct, Funding Institutional (Scival Funding). მათთვის ხელმისაწვდომი იქნება მსოფლიოში გამოქვეყნებული უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა და კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი სიახლეები.

Elsevier-ის სამეცნიერო ბაზებზე წვდომა ხელს შეუწყობს როგორც ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებას, ასევე საქართველოში სამეცნიერო დარგების განვითარებას და ანალიტიკური ინფორმაციის მიღების საფუძველზე, მეცნიერების პოლიტიკისა და მართვის სფეროს გაუმჯობესებას.

## მთავრობა უმუშევრობას „ამცირებს“, ხალხი კი მუდმივად სამუშაოს ძიებაშია! 5

## 9 რამდენად შორს ისმის კაცობრიობის ხმა კოსმოსში?!

## ვიგონებთ რევაზ ჯაფარიძეს

## ის მუდამ მისხლობით წონიდა სიტყვას 6





4

## რა ელირება პირველი ქართული ელექტრომობილი?

# პრემიერ-მინისტრმა პოლონეთის სენატის მარშალს უმასპინძლა

**პოლონეთი საქართველოს აქტიური მხარდამჭერია ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაციის გზაზე, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძისა და პოლონეთის სენატის მარშალ სტანისლავ კარჩევსკის შეხვედრისას აღინიშნა.**

განხილული იყო როგორც ორმხრივი თანამშრომლობის ასპექტები და პერსპექტივები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საკითხები.



შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ქვეყნებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, მათ შორის ვაჭრობასა და სექტორულ ურთიერთობებზე. ხაზი გაესვა ვაჭრობის კუთხით არსებულ პოზიტიურ დინამიკას და ამ მიმართულებით არსებული პოტენციალის სრულად გამოყენების აუცილებლობას და ამ პროცესში ორი ქვეყნის მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის როლს, რომლის მორიგი სხდომა ივნისში გაიმართება. პოზიტიურად შეფასდა პოლონეთის ინვესტიციისა და ვაჭრობის სააგენტოს დაარსება საქართველოში. მხარეებმა ისაუბრეს ორ ქვეყანას შორის არსებულ მნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირებზე. აღინიშნა, რომ საქართველოში ცოტა ხნის წინათ დაარსებული პოლონეთის ინსტიტუტი ხელს უწყობს ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის კიდევ უფრო გაძლიერებას.

## ნატო-საქართველოს მორიგი მასშტაბური სწავლება და თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ჩარჩო-ხელშეკრულება აშშ-სთან



**აშშ-ში ვიზიტის ფარგლებში საქართველოს თავდაცვის მინისტრი პოლიტიკის საკითხებში აშშ-ის თავდაცვის მდივნის მოადგილეს ჯონ რუდს შეხვდა. შეხვედრაზე ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული თანამშრომლობის საკითხები და სამომავლო გეგმები განიხილეს. განსაკუთრებული ყურადღება აშშ-სა და საქართველოს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების გზებზე გამახვილდა. საუბარი შეეხო საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამასა და საბრძოლო მომზადების ცენტრის განვითარების სამომავლო პერსპექტივებს. მხარეებმა შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების განმტკიცებისთვის მრავალეროვნული სწავლებების ფორმატისა და მასშტაბის გაზრდის აუცილებლობაც განიხილეს.**

თავდაცვის მინისტრის განცხადებით, შემოდგომაზე აშშ-თან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამწლიანი ჩარჩო-ხელშეკრულება გაფორმდება, რომელშიც პრიორიტეტული მიმართულებები გამოიკვეთება და ამით აშშ-თან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა კიდევ უფრო განმტკიცდება. **„ეს მოგვცემს საფუძველს, რომ ქვეყანა კიდევ უფრო დაუახლოვდეს ნატოს და მიღწეული თანამშრომლობის მაღალი ხარისხით ქვეყანა მზად იქნება ნატოში გასაწევრიანებლად“,** — აღნიშნა ლევან იზორიამ.

მხარეებმა საქართველოს თავდაცვის ძალების მოდერნიზაციისთვის და ნატოს სტანდარტების შესაბამისად შეიარაღებისთვის მხარდაჭერისა და თანადგომის გაგრძელების აუცილებლობის საკითხებიც განიხილეს, სადაც თავდაცვის მინისტრის განცხადებით, საქართველოს აშშ-ის მტკიცე მხარდაჭერა აქვს.

მანამდე ლევან იზორიამ აშშ-ში, ნორფოლკში, მოკავშირეთა ტრანსფორმაციის სარდლობის შტაბბინაში შეხვედრა გამართა. თავდაცვის უწყების დელეგაციას ნატოს ტრანსფორმაციის გაერთიანებული სარდლის მოადგილემ, ადმირალ მანფრედ ნილსონმა უმასპინძლა. შეხვედრაზე მხარეებმა ნატო-საქართველოს არსებული თანამშრომლობა და ერთობლივი სამომავლო გეგმები განიხილეს.

## ითანამშრომლებენ ეკონომიკურ დანაშაულთა ბრძოლის სფეროში

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში სამუშაო ვიზიტით გაერთიანებული სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიის დელეგაცია იმყოფებოდა. დელეგაციის წევრებს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილეები ვახტანგ ფარესიშვილი და ვაჟა ფანოზიშვილი, ასევე უწყების სხვა ხელმძღვანელი პირები შეხვდნენ.**



დიდი ბრიტანეთის დელეგაციას გაერთიანებული სამეფოს და ჩრდილოეთ ირლანდიის შემოსავლების და საბაჟო დეპარტამენტის ფისკალური დანაშაულების რეგიონალური ხელმძღვანელის მოადგილე სტეფან ჯოისი ხელმძღვანელობდა, დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ დიდი ბრიტანეთის ცენტრალური კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო დაზვერვის და ოპერაციების დეპარტამენტის რეგიონალური დირექტორი გრემ ჰენკოკი და ამავე დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების ოფიცერი ამანდა ჰიკმანი, შეხვედრას ასევე ესწრებოდა დიდი ბრიტანეთის საელჩოს პოლიტიკური მდივანი სოფი სტიუარტი. გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლებმა ბრიტანელ სტუმრებს უწყების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გააცნეს და საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში ჩადენილი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ მეთოდებზე ესაუბრნენ. სტუმრები დაინტერესდნენ კონტრაბანდის, ყალბი ფულის, ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის გამოვლენა-აღკვეთის და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულების გამოძიების კონკრეტული მიმართულებით.

## მოლდოვასთან თანამშრომლობა ღრმავდება

**ევროკავშირი — DCFTA ქვეყნების არაოფიციალური მინისტერიალის ფარგლებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა მოლდოვის რესპუბლიკის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრს ჩირილ გაბურიჩს შეხვდა და მასთან ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები განიხილა.**

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, მოლდოვას, საქართველოს მსგავსად, 5 წელია, რაც ევროკავშირთან გაფორმებული აქვს ასოცირების შეთანხმება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება ორივე ქვეყნის ნორმატიული და მარეგულირებელი ბაზის დაახლოება ევროკავშირის ბაზასთან.

შეხვედრაზე მინისტრებმა მიმოიხილეს თანამშრომლობის პერსპექტივები როგორც ორმხრივ, ასევე რეგიონალურ, მათ შორის, DCFTA ფორმატებში.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც მინისტრებმა ისაუბრეს, შეეხებოდა თანამშრომლობას ტურიზმის სფეროში. მოლდოველმა კოლეგამ ნათია თურნავასთან საქართველოში ტურიზმის განვითარების გამოცდილების გაზიარებაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს შემთხვევა მოლდოვისთვის სამაგალითოა.



# ეს არ უნდა განმეორდეს!

## მიშას რეჟიმის საშინელებები რუსულ HTB-ზე!

**ამ დღეებში რუსეთის პოპულარული სატელევიზიო არხი HTB მაყურებელს სთავაზობს გადაცემათა ციკლს საქართველოს ყოფილი მმართველი ნაციონალური პარტიის მანკიერ რეჟიმზე.**

სატელევიზიო გადაცემებში გამოწვლილვით შუქდება ჩვენი მოსახლეობისთვის კარგად ცნობილი ნაცების „საქმენი საგმირონი“.

გადაცემა მოგვითხრობს სხვადასხვა დროს თუ როგორ დაარბიეს მშვიდობიანი დემონსტრანტები.

განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი სულხან მოლაშვილის უმაგალითო წამებას, რომელიც ბევრი უსამართლობის მოწმე იყო და სააკაშვილის რეჟიმმა ამისთვის ციხეში გამოკეტა, დაუნდობლად აწამა, რის შედეგად ის დაავადდა და გარდაიცვალა.

დიდი ადგილი ეთმობა აგრეთვე ადამიანის ორგანოებით ვაჭრობას, ყალბი დიაგნოზით ქალებს საშვილოსნოს და თირკმელებს კვეთდნენ და ჯანსაღ ამოკვეთილ ორგანოებს ყიდდნენ! ამ დანაშაულებრივ მაფიას ხელმძღვანელობდა პრეზიდენტის მეუღლე სანდრა რულოვსი.




კადრებში ნაჩვენებია, თუ როგორ აწყობდნენ სპეცკონტეინერში ადამიანის ორგანოებს და საზღვარგარეთ გაყიდვის მიზნით როგორ გადაჰქონდათ ისინი.

მოგეხსენებათ, მიშას „ნულოვანი ტოლერანტობა“ და მოწოდება „ყველანი ციხეში!“ ასე გაჩნდა 40 ათასი პატიმარი! ისინი გაუსაძლის მდგომარეობაში იხდიდნენ სასჯელს. ერთ საკანში, რომელიც გათვალისწინებული იყო 7 კაცზე, ფაქტობრივად, 100-ზე მეტი ადამიანი იტანჯებოდა. მრავალის სიცოცხლე მთავრდებოდა იქ. ასე მუშაობდა ნაციონალების ე. წ. „სიკვდილის ფაბრიკა“.

კადრებში ვხედავთ ზურაბ ადეიშვილის სატელეფონო საუბარს მიშა სააკაშვილთან, რომელიც შეშფოთებულია აღნიშნული გადაცემის გამო და რჩევას აძლევს მეგობარს, როგორმე ჩაახშოს „ამერიკის პროექტით“ გაჟონილი ინფორმაციები!..

საღამოს გადაცემათა ციკლი HTB-ს არხზე, რომელიც დამაჯერებლად ამხელს „დემოკრატიის შუქურის“ და მისი ავაზაკი თანამოაზრეების სამარცხვინო რეჟიმის საშინელებებს, ამ დღეებშიც გრძელდება.

**შალვა თეთრაძე**



# დავით ზარდიაშვილი:

# „ნაცები“ „გაპეტუხდნენ“, იჩხავლეს, იყვირეს, ტანზე შემოიხიეს და წააგეს!..

**„ძვირი ჯდება ეს ამბავი, „ნაციონალების“ დამფინანსებელი, მათ შორის, სააკაშვილის ბიძა უკვე კარგად ხედავს, რომ წამგებიანია ეს საქმე, რადგან ფული იხარჯება, რესურსი იფლანგება და შედეგი არ ჩანს, ვერც რევოლუცია ხერხდება, ვერც არჩევნებს იგებენ „ნაციონალები“, — აცხადებს ანალიტიკოსი დავით ზარდიაშვილი და განმარტავს თემურ ალასანიას გულაცრუების მიზეზებს.**



დავით ზარდიაშვილი: ამ არჩევნების შედეგებმა აჩვენა, რომ სტატუს კვო არ შეცვლილა. როგორი მდგომარეობაც იყო, იგივე დარჩა, „ოცნებამ“ ისევ მოიგო, „ნაცებმა“ ისევ წააგეს. მართალია, მთაწმინდაზე ძალიან დაბალი აქტივობა იყო, მაგრამ კარგია, რომ მეტ-ნაკლებად ხმები გადანაწილდა. მეორე ტური იქნება, ძალიან არ გამხარებია „ევროპული საქართველოს“ წარმატება, რადგან არ ვარ მათი ამომრჩეველი, ანტიპათიურად ვარ მათ მიმართ განწყობილი, მაგრამ, რადგან შალვა შავგულიძე დააყენეს კანდიდატად, „ევროპული საქართველოს“ მიმართ ისეთი რადიკალური განწყობები უკვე აღარ შეიმჩნეოდა და მათ გარკვეული შედეგი მიიღეს.

**— შალვა შავგულიძის წარმატებას რით ახსნით, მის წინააღმდეგ აგორებულმა სახელისუფლებო ანტიპიარმა იმუშავა?**

— რაც არ უნდა ლანძღონ, შავგულიძეს მაინც კარგი სახელი აქვს. არასწორი იყო მურუსიძისა და შავგულიძის შედარებითი დახასიათება რომ გააკეთა „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ. ეს შეცდომა იყო, მაგრამ რაც იყო, იყო, ამაზე აღარ ღირს ლაპარაკი.

**— მთაწმინდის ოლქში არჩევნების მეორე ტური მალე ჩატარდება და, სავარაუდოდ, ეს თარიღი 13 ივნისი იქნება. ვისთვის იქნება მეორე ტური წარმატებული — ლადო კახაძისთვის თუ შალვა შავგულიძისთვის?**

— რა თქმა უნდა, დიდი ალბათობით, მაინც ლადო კახაძე, ანუ „ქართული ოცნება“ მოიგებს არჩევნებს. ხმების გადანაწილება მაინც იმის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ პლურალიზმის საშუალება იქნება მომავალ არჩევნებზე. რაც შეეხება დანარჩენ საქართველოს, მოხდა ის, რაც უკვე დიდი ხანია, მეორდება. კერძოდ, „ოცნებისა“ და „ნაცების“ დაპირისპირება ერთი და იმავე შედეგით მთავრდება, ანუ „ნაცები“ აგებენ, „ოცნება“ იგებს. ახლა „რუსთავი 2“-ს რომ უყურებ, გგონია, ქვეყანა ინგრევა, მაგრამ ამომრჩეველი ამბობს, რომ არაა, ბატონო, ასე საქმე. არ ვართ ჩვენ მაგ აზრის, რომ ერთმანეთი დავკლათ, ერთმანეთის დაკვლას და დახოცვას ქართველი ხალხი არ აპირებს. რაც დროზე მიხვდებიან პარტიები ამას, მით უკეთესი მათთვისაც და ქვეყნისთვისაც.

**— ამ არჩევნებმა დაგვანახა, რომ ჩვენს საზოგადოებას ისევ აქვს „ნაცების“ მიუღებლობა, როგორც 2012-ში?**

— „ნაცები“ „გაპეტუხდნენ“, ეს ცუდი სიტყვაა, მაგრამ ზუსტად შეესაბამება „ნაციონალურ მოძრაობას“. როგორც ხდება ხოლმე, „ნაცებმა“ იჩხავლეს, იყვირეს, ტანზე შემოიხიეს და წააგეს. ამჟამად მათ მიმართ უფრო მიუღებლობა იგრძნობა, თორემ „ნაცების“ მიმართ ზიზღი მაშინ იყო, 2012-ში. პრაქტიკულად, 2012-ის არჩევნები იყო „ნაცების“ განაჩენი, თუმცა არ ვიცი, მათ რა რესურსი აქვთ იმდენი, რომ დღემდე ინარჩუნებენ პოლიტიკურ სიცოცხლეს და მთავარი ძალა, რომელიც უპირისპირდება „ოცნებას“, ისევ „ნაცები“ არიან. გასაკვირია, რომ ქართულმა სანამდვილემ ვერ შვა ისეთი ძალა, რომელიც ღირსეულ მეტოქეობას გაუწევდა ხელისუფლებას. ეს ძალიან ცუდია. ახლა სააკაშვილი და სანდრა რულოვსი რევოლუციისკენ მოგვიწოდებენ, მაგრამ არ არსებობს არავითარი პერსპექტივა, რომ რევოლუციური ტალღით მოვიდნენ, მით უმეტეს, ამას ვერ შეძლებს „ნაციონალური მოძრაობა“. ეგ არ გამოვა, ხალხი ამას არ აჰყვება. რამდენჯერ წაიმტვრიეს ცხვირი „ნაცებმა“, რომ ეს დაინახონ. მთაწმინდის არჩევნები იყო ამის დამადასტურებელი, რომ რევოლუციური სცენარი არ ჩანს.

თუ ჩვენ გვინდა საპარლამენტო რესპუბლიკისკენ წავიდეთ, პარტიებს უნდა დავეყრდნოთ, პარტიების დიდი იმედი არასდროს მქონია და არც მექნება, მაგრამ სხვა გზა უბრალოდ არ არსებობს. პარტიული დემოკრატიაა საპარლამენტო რესპუბლიკის მთავარი პრინციპი. დამაიმედებელია პლურალიზმიც, რადგან მეტ-ნაკლებად ისეთი კანდიდატები გამოჩნდნენ, რომლებსაც შეუძლიათ ხმების 5% აიღონ და ბარიერი მაინც გადალახონ.

**— თქვენი აზრით, სწორედ მთაწმინდის ოლქმა დაადასტურა, რომ არჩევნებზე დაპირისპირების დრო დასრულდა?**

— მთაწმინდამ აჩვენა, რომ დაპირისპირება ისეთი რადიკალური არ არის, ნიშანდობლივია ლადო კახაძის განცხადება, მე თუ ვერ მოვიგებ, ვინც გინდა, მოიგოს ეს არჩევნები, ეს დამღუპველი არ არის საქართველოსთვისო. წარმოვიდგინოთ, „ნაცები“ რომ საერთოდ გაქრნენ თამაშიდან და თუნდაც „ევროპული საქართველო“ დარჩეს, თუკი მათ შალვა შავგულიძისნაირი კანდიდატები ეყოლებათ, მაშინ დიდი ტრაგედია არ იქნება. ახლა ბოკერია და მისნაირი რადიკალები არ გვინდა, მაგრამ, თუკი შავგულიძისნაირი კანდიდატი მოიგებს, ქვეყანას ამით საფრთხე არ შეექმნება, მაგრამ „ნაცების“ გამარჯვება ნებისმიერ შემთხვევაში, საფრთხეა. კარგია, რომ გარკვეულ წარმატებას მიაღწია ელისაშვილის კანდიდატმა ლევან იოსელიანმაც, მას ჯერ პარტია არ აქვს, მაგრამ შეიძლება ამისკენაც წავიდეს საქმე.

**— რის საფუძველზე ამბობენ, რომ „ნაციონალები“ დაშლის პირას არიან? ხომ შეიძლება გადაიაროს ამ დაპირისპირებამ და ნიკა მელიას, სანდრა რულოვსის, მეგი გოცირიძის მღელვარება ჩაწყნარდეს?**

— ისინი დაშლის პირას არიან, რადგან სააკაშვილი უკვე ხედავს რეალობას, თქვა კიდეც, არჩევნებით ამათ ვერ მოვიშორებთ, ამიტომ ერთადერთი გამოსავალია, ივანიშვილი მოვიშოროთო. თუმცა როგორ უნდა მოიშორონ? არჩევნებით ივანიშვილს ვერ მოიშორებენ, რადგან არავითარი არჩევითი სტატუსი მას არა აქვს. ერთადერთი ვარიანტია, „ქართულ ოცნებაში“ შევიდეს სააკაშვილი და პარტიის თავმჯდომარეობიდან ივანიშვილი გადააყენოს. ეს ხუმრობით. რასაკვირველია, სააკაშვილი ამ სცენარს არ გულისხმობს, არამედ გულისხმობს იმას, რომ ივანიშვილი დაამხოს, რევოლუციური სიტუაცია შექმნას, რის შემდეგაც ივანიშვილი იძულებული იქნება, ქვეყნიდან გაიქცეს. ამ უბედურებას ელის სააკაშვილი.

**— მისი დევიზი ასეთია — „შეტევა, შეტევა და მხოლოდ შეტევა“...**

— დიახ, ესეც ადასტურებს, რომ პარტია „ნაცმოძრაობაში“ კრიზისია, ისინი დაშლის პირას არიან, რადგან ვერ გადაუწყვეტიათ, როგორ მოიქცნენ. რევოლუციის რესურსი მათ არა აქვთ, ამას ხვდება ბევრი „ნაციონალი“, მათ შორის, ნიკა მელიაც. რაც არ უნდა ბევრი იყვიროს „ცრუსთავი-2“-ის უფროსმა ნიკა გვარამიამ, ისიც ხვდება, რომ რევოლუციის რესურსი არ არის, არჩევნებს ვერ იგებენ, ამ დროს კი მათი პარტიული აქტივისტები, შედეგს ელოდებიან მათი ლიდერებისგან. კი, შეიძლება, გარკვეული მატერიალური რესურსი „ნაციონალებს“ აქვთ, რომ ამ პარტიულ აქტივისტებს ინახავენ, მაგრამ ესეც ამოწურვადია, ძვირი ჯდება ეს ამბავი. ვინც არის მათი დამფინანსებელი, ანუ ფინანსური პატრონი — სააკაშვილის ბიძა და სხვები, საიდანაც ეს ფული მოდის, ის უკვე ხედავს, რომ ეს საქმე წამგებიანი ხდება, ფული იხარჯება, რესურსი იფლანგება და შედეგი არ ჩანს, არც რევოლუცია ხერხდება, ვერც არჩევნებს იგებენ. პარტიის ერთი ნაწილი, მათ შორის, სააკაშვილი ხვდება, რომ არჩევნების მომგები არ არის, პარტიის მეორე ნაწილი ხვდება, რომ რევოლუციის მომწყობნი არ არიან. რა პერსპექტივა აქვთ? გამოსავალია ის, რაც თავის დროზე გააკეთა „ევროპულმა საქართველომ“, რომელმაც სცადა, ელექტორალური პარტია შეექმნა და არჩევნები მოეგო. სხვათა შორის, „ევროპულმა საქართველომ“ ბევრი ვარიანტი სცადა და ერთ-ერთი ვარიანტი იყო შავგულიძისნაირი გამსვლელი კანდიდატის მონახვა.

შავგულიძე, რასაკვირველია, უფრო გამსვლელი ვარიანტია, ვიდრე თუნდაც იგივე, სიტყვაზე რომ ვთქვათ, დათო ბაქრაძე, რადგან შავგულიძეს კარგი სახელი აქვს და მას ვერ გაუფუჭეს ეს სახელი.

**— გარდა იმისა, რომ ფლორიდის ბინა იყიდა თემურ ალასანიამ, მისი რესურსები ამოწურვადი არ არის? კვლავაც საუბარია იარაღით ვაჭრობაზე?**



— ეს დაკავშირებულია ჭუჭყიან ბიზნესთან. ეს არის კგბ-ს კვალი, ბევრი ცუდი რამ შეიძლება ამასთან იყოს დაკავშირებული, იქ არის კიდევ კეზერაშვილის ბიზნესი, რომელიც, ასევე, არ არის სუფთა საქმე, კობა ნაყოფიას ბიზნესი... ეს ყველაფერი რუსული კვალია, კგბ-შნიკური კვალი. რა თქმა უნდა, ეს რესურსი ასე სწრაფად არ ამოიწურება. მათ აქვთ განახლებადი შემოსავალი, მაგრამ ხვდებიან, რომ წამგებიან საქმეში ყრიან ფულს. თუ გახსოვთ, ეს რამდენჯერმე თქვა კიდეც თემურ ალასანიამ წინა არჩევნებისას. საპრეზიდენტო არჩევნებისას ქართველები რომ გალანძღა, ალასანიას წამოსცდა, ამდენ რესურსს ვახმარ ამ საქმეს და არაფერი გამოდისო. უკვე ჩანს ამ საქმის მიმართ მისი დამოკიდებულება და ეს კიდევ უფრო გაღრმავდება. აგერ, შუალედურმა არჩევნებმაც აჩვენა „ნაცმოძრაობის“ უკუშედეგები. თუ შევადარებთ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს ახლანდელ შედეგებს, მათ რეგრესი აქვთ, ისინი წინ კი არ წავიდნენ, არამედ უკან არიან, მათ მიიღეს უფრო ცუდი შედეგი, ვიდრე საპრეზიდენტო არჩევნებისას.

**— რაც შეეხება სანდრა რულოვსს, ის ვერც უცხოეთში იმკვიდრებს თავს, ვერც საქართველოში. სად ხედავთ მის პერსპექტივას — ჰოლანდიაში?**

— სანდრას სტატუსია ის, რომ „ზუდიდელების რძალი“ მიხეილ სააკაშვილის ცოლია. პრაქტიკულად, იგი სააკაშვილის მაგიერი პირია. ასეთი მარტივი გათვლა ჰქონდათ „ნაციონალებს“, იმის გამო, რომ სააკაშვილი ზუგდიდში ვერ ჩავიდოდა და კენჭს ვერ იყრიდა, ამიტომ ცოლი გამოგზავნა, როგორც მაგიერი პირი, რათა ზუგდიდელებს ჩაეთვალათ, სანდრას ნაცვლად ხმას ვაძლევთ სააკაშვილს, მიშას დაბრუნებასო, მაგრამ სანდრამ ეს არჩევნები წააგო. მართალია, სანდრა იძახის, საქართველოზე ვარ დაქორწინებულიო, მაგრამ თვითონაც მიხვდა, რომ ასე არ არის. რაც შეეხება სააკაშვილს, ის არც იკადრებდა ზუგდიდის მერობისთვის კენჭისყრას, კი იძახის ახლა, ყვარელში ჩავალ და იქაური მერი გავხდებიო, მაგრამ თავს არ დაიმცირებს. სამომავლოდ სანდრას ბევრი არჩევანი აქვს, შეუძლია, ჰოლანდიაში დაბრუნდეს, შეუძლია, ქმარს დაუბრუნდეს, საქართველოში პერსპქტივა არა აქვს. თქვა კიდეც, მე ევროპელი რაციონალური ადამიანი ვარ, მაგრამ საქართველოში რომ მოვხვდი, ბრძოლა ვისწავლეო, ანუ ქართულად აჟიტირებული გავხდიო, იმდენად გამომიყვანეთ წყობიდან, მეც გავცოფდი, გავქართველდიო. ამიტომაცაა, რომ წივის და კივის...

**ესაუბრა**
**მანანა ნოზაძე**

# რა ეღირება პირველი ქართული ელექტროავტომობილი?



**რამდენიმე თვის წინათ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ 2020 წლიდან საქართველო შეძლებს ელექტრომობილები აწარმოოს. „კომერსანტი“ დაინტერესდა რა ეტაპზეა ქარხნის მშენებლობის პროცესი, რომელიც მამუკა ბახტაძის თქმით, ქუთაისში უნდა აშენდეს.**

ქუთაისში ელექტრომობილების წარმოების ორგანიზებას, კომპანია „AiProduction“ უზრუნველყოფს. **„AiProduction“-ის დირექტორი აკაკი მამალაძე“ კომერსანტთან“** ამბობს, რომ კომპანიას უკვე დაწყებული აქვს წინა სამშენებლო სამუშაოები. მისი თქმით, ამ ეტაპზე მიწის გეოლოგიური და გეოდეზიური შესწავლა მიმდინარეობს.

**„ვამზადებთ ტერიტორიის სრული განაშენიანების გეგმას, საწარმოს განლაგების სქემას, კონსტრუქციებს და შენობების პროექტებს. გასათვალისწინებელია, რომ ტერიტორიაზე განთავსდება არა მხოლოდ ავტომობილების საწარმო კომპლექსი, არამედ ეკო პროდუქციის, მზის პანელების და სხვა მაღალტექნოლოგიური პროდუქციის საწარმოები“,** — ამბობს აკაკი მამალაძე.



სამშენებლო პროექტი ორ ეტაპად არის განაწილებული. მისი თქმით, „AiProduction“ ელექტრომობილების აწყობისთვის საჭირო ყველა ტექნიკა-დანადგარის საქართველოში ჩამოტანას გეგმავს.

**„სამშენებლო პროექტი დანაწილებული გვაქვს თანმიმდევრულად, პირველი ეტაპისთვის გათვალისწინებული საწარმოს ნაწილი დასრულდება 2019 წელს და ამ საწარმოდან წელსვე ვგეგმავთ ელექტრომობილების პირველი ნაწილების გამოშვებას. მეორე ეტაპისთვის კომპლექსს დაემატება საღებავი, შემდუღებელი და სხვა საწარმო ნაწილები. სამომავლოდ ასევე ვგეგმავთ ავტომობილების ელემენტების საწარმოს განვითარებასაც. გადავამზადებთ ადგილობრივ მუშა პერსონალს. ამის შემდგომ ქუთაისში განვითარდება ადგილობრივი წარმოების სხვა ხაზებიც, რომელიც ადგილზე აწარმოებს ავტომობილების სხვადასხვა ნაწილებს. პროექტის მიზანია, რაც შეიძლება მოკლე დროში მოვამზადოთ ქართული წარმოების პროდუქცია და წარვადგინოთ იგი უცხოურ ბაზრებზე,“** - განმარტავს აკაკი მამალაძე.

როგორც „AiProduction“ — ის დირექტორი აცხადებს, სამშენებლო პროექტი ჯერჯერობით მომზადების პროცესშია, რის შემდეგაც პროექტი ქალაქ ქუთაისის არქიტექტორის სამსახურთან შეთანხმდება. როგორც აკაკი მამალაძე ამბობს, საწარმოს პირველი ნაწილი 15 ჰექტარზე გაშენდება, თუმცა წარმოება მუდმივი ზრდის პროცესში იქნება, რის შემდეგაც 200 ჰექტარის ათვისება იგეგმება. ამ ტერიტორიაზე მოეწყობა შიდა სატრანსპორტო ქსელი თავისი სადგურებით და გამწვანების ზონები, ისევე როგორც ალტერნატიული ელექტროენერგიის მიმღები ველები.

„AiProduction“-ის დირექტორი ინვესტიციის ოდენობაზეც საუბრობს:

**„ამ ეტაპზე რთულია ციფრებზე საუბარი და არ მინდა, მცდარი მონაცემები დაგისახელოთ, რადგან ყველა კომპლექსს გააჩნია ცალკეული პროგნოზული ბიუჯეტი, რომელიც პერიოდულად იცვლება. შესაბამისად, ჩვენი ფინანსისტები აკორექტირებენ საინვესტიციო ბიუჯეტს, რომელიც მალე კონკრეტულ ციფრებზე გაგვიყვანს. საუბარია მრავალმილიონიან პროექტებზე, რომლის საშუალებითაც შეიქმნება მაღალტექნოლოგიური საწარმოების ზონა. გარდა საწარმო მიმართულებისა, ჩვენს ჰოლდინგში ასევე არის პროექტები, რომელიც ქვეყანაში საჭირო ინფრასტრუქტურულ და ეკოლოგიურ პროექტებს ახორციელებს, შესაბამისად, პროექტის ბიუჯეტი მოიცავს მრავალ ასპექტს და განსახორციელებელია უამრავი საქმიანობა“,** — განაცხადა აკაკი მამალაძემ.

აკაკი მამალაძის თქმით, კომპანია „AiProduction“ ამჟამად არის კომპანია „ბიგსერვისის“ (იგივე „აიგრუპი“) მფლობელობაში. მისი თქმით, მთავარი ინვესტორი ქართველია, თუმცა ინვესტორების ჯგუფი დაკომპლექტებულია ქართველი და უცხოელი დამფუძნებლებით. ახლო პერიოდში კი „აიფროდაქშენის“ 39 პროცენტში ჩინური მხარე შემოვა.

„AiProduction“-ის დირექტორის განცხადებით, პროექტის მასშტაბურობის გამო კომპანია სააქციო საზოგადოების და ბირჟაზე გასვლის შესაძლებლობებს განიხილავს.

აკაკი მამალაძე კომერსანტთან აცხადებს, რომ „AiProduction“ რამდენიმე დღეში ჩანგანისგან ლიცენზიის გამოყენების უფლებას მიიღებს.

**„კომპანიებს შორის მიღწეული იქნა მრავალი შეთანხმება, გაფორმდა მემორანდუმი და სხვადასხვა სახის ხელშეკრულება. 27 მაისს ჩანგანსა და აიფროდაქშენს შორის ვგეგმავთ ერთ-ერთი უმთავრესი, ტექნოლოგიური ლიცენზიის ხელმოწერას. აღნიშნული ხელშეკრულება ძალიან მნიშვნელოვანია კომპანიისთვის, ისევე როგორც ქვეყნისთვის. ანუ ჩანგანის მფლობელობაში არსებულ ყველა პატენტსა და ლიცენზიაზე გვეძლევა გამოყენების უფლება. ეს არის მთავარი უფლება იმისა, რომ ვაწარმოოთ ავტომობილები და მისი ავტონაწილები საქართველოში. დამატებით მინდა გაცნობოთ, რომ ინვესტიციის და კვლევა-განვითარების შედეგების მიხედვით ჩანგანი ჩინეთში ლიდერი კომპანიაა, ხოლო მსოფლიო ავტოინდუსტრიის მასშტაბით ჩანგანი ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი პატენტის მფლობელია“,** — განმარტავს აკაკი მამალაძე.

„AiProduction“ — ის დირექტორი განმარტავს, რომ პროექტი ქუთაისის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია, რადგან იგეგმება, რომ წარმოება სრულად ქართულ ძალაზე გადავიდეს, თუმცა თავდაპირველად საწარმოში გარკვეული რაოდენობის ჩინელი მუშახელი იმუშავებს, რაც კომპანიისთვის გამართულობის გარანტი იქნება.

**„პროექტის ფარგლებში ბევრი ადამიანი დასაქმდება, რომელიც ჩვენი დახმარებით ავტოინჟინერიას და მასთან დაკავშირებულ სხვა პროფესიებს დაეუფლებიან. 2019 წლის ბოლოსკენ 100-მდე ადამიანი დასაქმდება, ხოლო 2020 წლის ბოლოს დასაქმებულთა რიცხვი 400-მდე გაიზრდება. რაც რეალურად მიგრაციულ განწყობას შეცვლის და ადგილობრივ მცხოვრებთათვის დასაქმება გახდება შესაძლებელი. წარმოების ზრდის პარალელურად აუცილებლად გაიზრდება მუშახელის და ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობაც. ყველა სპეციალისტი გაივლის შესაბამის ტრეინინგებს და სემინარებს. ინსტრუქციებში სწორად გარკვევისთვის თავდაპირველად საწარმოში იმუშავებენ ჩინელი ინჟინერ-ტრენერები, ხოლო პარალელურად განვითრდება ადგილობრივი რესურსები“,** — აცხადებს აკაკი მამალაძე.

საწარმოს პირველი ნაწილის დასრულებისთანავე კომპანია გეგმავს პროცესების შემდგომ განვითარებას, წარმოების და საწარმო ხაზის გაზრდას. დაგეგმილია სხვადასხვა ავტონაწილების ადგილზე წარმოება. აკაკი მამალაძის განცხადებით, ასევე გაიზრდება წლიური წარმოება, რაც საერთო ჯამში 40 000 ავტომობილს მიაღწევს. წარმოებული ავტომობილების 50% განკუთვნილია საექსპორტოდ. საქართველოში წარმოებული ელექტრომობილები კი ექსპერტზე გავა ევროპაში, დსთ ქვეყნებში, შუა აღმოსავლეთიში და სხვა ქვეყნებში.

აკაკი მამალაძე ამბობს, რომ მემორანდუმის მიხედვით **4 მოდელის ელექტროავტომობილის წარმოება იგეგმება. ესენია: „New EADO EV460 Sedan“, „New EADO Hatchback“, „Benni-EV360“, „CS55 EV“. თუმცა,** კომპანიამ შესაძლოა, ჩანგანის მიერ გამოშვებული სხვა მოდელის ელექტრომობილებიც აწარმოოს.

რაც შეეხება ავტომობილის ღირებულებას:

„კომპანიისთვის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საქართველოში წარმოებულ ავტომობილებზე ხელმისაწვდომობა. წარმოებული ავტომობილები დააკმაყოფილებს ყველა სტანდარტს, მისი სტილი და კომფორტი შესაბამისია მსოფლიოში ცნობილი მოწინავე მოდელებისა.

1. კომპაქტი — გოლფ მობილები — საშუალოდ 300 კმ გამავლობით. ფასი მერყეობს 13-დან 17 ათას დოლარამდე.

2. სედანი და ჰეჩბექი მობილები — საშუალოდ 460 კმ გამავლობით. ფასი მერყეობს 23-დან 30 ათას დოლარამდე.

3. ჯიპი — საშუალო გამავლობა 300-400 კმ. ფასი მერყეობს 18-დან 28 ათას დოლარამდე.

**„ზემოთ მოყვანილი ფასები მომხმარებელთათვის ხელმისაწვდომს გახდის ავტომობილებს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ელექტრომობილები ბაზარზე არსებულ სხვა სისტემის ავტომობილებთან შედარებით ძვირი ღირს. ამასთან ერთად, „ბიგსერვისი“ გეგმავს გააქტიუროს სოციალური და საზოგადო ლიზინგის სერვისები, ასევე დაზღვევისა და სერვისის მომსახურება. შესაბამისად, მომხმარებელს საშუალება ექნება, გამოცვალოს არსებული მოდელი ახლით და მიიღოს ქარხნული გარანტიები“,** — განაცხადა აკაკი მამალაძემ.

რაც შეეხება „ბიგსერვისის“ კომპანიას, ის 2005 წელს დარეგისტრირდა. საჯარო რეესტრის მონაცემებით ირკვევა, რომ კომპანიას ერთი ქართველი მეწილე (25%) დიმიტრი აბდუშელიშვილი ჰყავს.

დანარჩენები უზბეკეთისა და რუსეთის წარმომადგენლები არიან.

კომპანია „ბიგსერვისის“ მიერ საქართველოში უკვე ორგანიზებულია და მიმდინარეობს სხვადასხვა პროექტები.

„AiEnergy“ — მიმდინარე პროექტი, რომელიც 10 წლის განმავლობაში გეგმავს მინიმუმ 30 000 ელექტროსატენი მოწყობილობის ინსტალირებას და ამგვარად ელექტრომობილების სადგურების განვითარებას.

„AiPower“ — მიერ ხორციელდება საქართველოში ალტერნატიული ელექტროენერგიის მიმღები წყაროების განვითარება. კომპანია ქვეყნის მასშტაბით მზის პანელების სადგურების განვითარებასაც გეგმავს.

„Aicar“ — საქართველოში ერთ-ერთი ცნობილი პროექტია, რომელიც ავტოგაზიარების პრინციპით, ადგილობრივ მოსახლეობას ახალი ელექტრომობილებით გადაადგილების საშუალებას აძლევს.

**ბაჩო ადამია**



# მთავრობა უმუშევრობას „ამცირებს“, ხალხი კი მუდმივად სამუშაოს ძიებაშია!



**იმ დროს, როდესაც ქვეყანაში ყველა უმუშევრობაზე და სიღარიბეზე წუწუნებს, ოფიციალური სტატისტიკა ციფრების ენით მუდმივ გაუმჯობესებაზე საუბრობს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის უახლესი მონაცემებით, 2018 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2017 წელთან შედარებით 1.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.7 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია ფიქსირდება, ამასთან, უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში მაჩვენებელი ყველაზე დაბალ ნიშნულზეა.**

უმუშევრობის დონე ტრადიციულად მაღალია კაცებში, ქალებთან შედარებით. შარშან აღნიშნული მაჩვენებელი კაცებში 2.7 პროცენტული პუნქტით აღემატებოდა ქალების შესაბამის მაჩვენებელს.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარე **შოთა გულბანი** დასაქმებისა და უმუშევრობის უახლეს მაჩვენებლებს აფასებს და ამბობს, რომ, ერთი მხრივ, მისასალმებელია უმუშევრობის დონის შემცირება, თუმცა, მეორე მხრივ, ეს არ არის საკმარისი, რადგან დასაქმება კვლავ ნომერ პირველ პრობლემად რჩება საქართველოში.

**„მიუხედავად ამისა, მინდა, აღვნიშნო, რომ ბოლო წლებში შემცირების ტენდენცია შეუქცევადია. 2012-18 წლებში უმუშევრობის დონე ყოველ წელს ეტაპობრივად მცირდება და ეს არის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. გარდა ამისა 2018 წლის უმუშევრობის დონე ბოლო 15 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი ნიშნულია“,** — განაცხადა გულბანმა.

საგულისხმოა, რომ 2018 წლის მონაცემებით დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა აღემატება თვითდასაქმებულთა რაოდენობას და დაქირავებით დასაქმებულთა წილმა მთლიან დასაქმებაში 50.8 პროცენტი შეადგინა. 2018 წელს პირველად დაფიქსირდა, რომ დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა აჭარბებს თვითდასაქმებულთა რაოდენობას. დასაქმება იზრდება ეკონომიკის პროდუქტიულ სექტორებში და ფიქსირდება თვითდასაქმებულთა გადასვლა დაქირავებით დასაქმებულთა კატეგორიაში.

მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის შემცირების წინსვლა შეინიშნება, ზედმეტი ილუზია არც მთავრობის წევრებს არა აქვთ. მაგალითად, ფინანსთა მინისტრი **ივანე მაჭავარიანი** ამბობს, რომ ქვეყანაში სიღარიბე და უმუშევრობა, ალბათ, კიდევ რამდენიმე წელი გასტანს, რადგან ეს არ არის მარტივად დასაძლევი პრობლემა.

**„საქართველოს ისტორიას თუ გადავხედავთ, ეს პრობლემები ყოველთვის იყო მწვავე და ალბათ, ჯერ კიდევ რამდენიმე წელი იქნება მსგავსი პრობლემები, როგორიცაა უმუშევრობა და სიღარიბე. მე, როდესაც ვამბობ, რომ ტენდენცია არის გაუმჯობესებისკენ და ვამბობ, რომ სიღარიბეა 30%-დან 21%-მდე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელები უნდა ჩამოვუშვათ და კმაყოფილი ვიყოთ. დარწმუნებული ვარ, რომ ეს პრობლემა მოგვარებადია, უბრალოდ, რამდენიმე წელი მინიმუმ ამას დასჭირდება“,** — აცხადებს მაჭავარიანი.

**ბექა დანელია**

# ნაყინის ნიმუშებში დარღვევა არ გამოვლინდა

**სურსათის ეროვნული სააგენტო, სეზონურობის გათვალისწინებით, ნაყინის კონტროლს აქტიურებს. სააგენტოს ინსპექტირების ჯგუფებმა უკვე ჩაატარეს 26 სახელმწიფო კონტროლი. შემოწმდა როგორც ნაყინის საწარმოებში არსებული ვითარება, ასევე სარეალიზაციო ბაზარზე განთავსებული პროდუქცია.**



მონიტორინგის ფარგლებში, თბილისსა და რეგიონებში ლაბორატორიულად გამოკვლეულია სხვადასხვა დასახელების ნაყინის 15 ნიმუში, რომელთაგანაც დარღვევა არც ერთში არ გამოვლენილა.

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ უანგაროდ მოგვემსახურა!

**„ყაზტრანსგაზ-თბილისის“ ტექნიკურმა სამსახურმა დედაქალაქის 25 000 აბონენტს ექსპლუატაციიდან გამოსული გაზის ძველი, 1998-2000 წლებში დამონტაჟებული მრიცხველი უსასყიდლოდ შეუცვალა.**

მათ ნაცვლად კი თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიის მომხმარებლებს ახალი, თანამედროვე გაზის მრიცხველები დაუმონტაჟდათ. საერთო ჯამში, კომპანია დედაქალაქის მასშტაბით, ეტაპობრივად, 150 ათასი გაზის მრიცხველის ჩანაცვლებას გეგმავს. უკვე განხორციელებული ინვესტიციის მოცულობამ 2,5 მილიონ ლარს გადააჭარბა, ხოლო, ქსელის განახლების გარდა, მრიცხველების ჩანაცვლების პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი 15 მილიონ ლარს სცდება. გაზგამანაწილებელი კომპანია დედაქალაქში ამორტიზებული მილსადენების ჩანაცვლების პროგრამასაც იწყებს.

# კიდევ ორი უქმე დღე?

**შესაძლოა, 14 მაისი უქმე დღედ გამოცხადდეს. პარლამენტმა დეპუტატ ნუკრი ქანთარიას ინიციატივა უნდა განიხილოს, რომლის თანახმად 14 მაისს „სამშობლოს დღე“ უნდა ეწოდოს. ქანთარია ითხოვს, რომ 14 მაისი დასვენების დღედ გამოცხადდეს.**

ასევე შესაძლებელია, რომ 1 მაისი უქმე დღედ გამოცხადდეს. შესაბამისი ინიციატივით დეპუტატი ბექა ნაცვლიშვილი გამოვიდა. კანონმდებლის აზრით, პირველი მაისი მშრომელთა საერთაშორისო დღეა და ამიტომ ის დასვენების დღე უნდა იყოს.



# ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობას 109 ხე შეეწირება

**საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის მიერ ხელმოწერილი დადგენილების მიხედვით, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის კომპანიას „ასოციაცია ატუს“ ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობისთვის სახელმწიფო „წითელ ნუსხაში“ დაცული ხეების მოჭრის უფლება მიეცა.**

2019 წლის 17 მაისს ხელმოწერილ განკარგულებაში ნათქვამია, რომ „ასოციაცია ატუ“ ქუთაისის მიმდებარედ 387,512 კვადრატული მეტრის მიწის ნაკვეთზე „წითელი ნუსხით“ დაცულ შემდეგ ხეებს მოჭრის: იმერული მუხა — 60 ძირი; ძელქვა — 49 ძირი, მთავრობის განკარგულების მიხედვით, ასოციაცია „ატუმ“ მოჭრილი მერქანი ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მითითებულ ტერიტორიაზე უნდა დაასაწყობოს.

# ნურსულთანიდან ბათუმში პირდაპირი ფრენები იწყება

**ნურსულთანი-ბათუმი-ნურსულთანის საჰაერო ხაზზე რეგულარული რეისები 7 ივნისიდან 25 ოქტომბრამდე, კვირაში ორჯერ სიხშირით, ყოველი სამშაბათსა და პარასკევს შესრულდება. ფრენები Boeing 737 და CRJ200 ტიპის საჰაერო ხომალდებით განხორციელდება.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ, ყაზახურ ავიაკომპანიას რეგულარული საჰაერო მიმოსვლის შესრულების ნებართვა 2019 წლის 21 მაისს მიენიჭა. „სკატი“ (SCAT) საქართველოს სააავიაციო ბაზარზე რეგულარულად 2006 წლიდან ოპერირებს. გასულ წლებში, ავიაკომპანია ბათუმის მიმართულებით რეისებს აქტაუდან ასრულებდა.





# ულამაზო ურნებს მიწისქვეშ გადაიტანენ



**თბილისის მერის კახა კალაძის ინფორმაციით, სანაგვე ურნების მიწისქვეშ გადატანის საპილოტე პროექტის განხორციელება ჭავჭავაძის ქუჩიდან დაიწყება. ამის შესახებ კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.**

კახა კალაძემ „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელ ლევან ჯღარკავას აღნიშნული საპილოტე პროექტის ჭავჭავაძის ქუჩაზე განხორციელება დაავალა და აღნიშნა, რომ სანაგვე ურნების მიწისქვეშ გადატანა სხვა ქუჩებსაც შეეხება, სადაც რეაბილიტაცია განხორციელდება.

**„იცით, რომ უახლოეს მომავალში ვიწყებთ ჭავჭავაძის ქუჩის სრულ რეაბილიტაციას, სადაც ძალიან მძიმე მდგომარეობაა, განსაკუთრებით მიწისქვეშა კომუნიკაციების თვალსაზრისით. ამ პროექტის ფარგლებში, მინდა, ლევან ჯღარკავას დავავალო, რომ საპილოტე პროექტი განვახორციელოთ, სანაგვე ლურჯი ურნები, რომელიც დგას ქუჩაში, ეს ურნები ჩავიტანოთ მიწის ქვემოთ. ბევრ განვითარებულ ქალაქშია ეს პროექტი გაკეთებული. ძალიან მარტივია ამის გაკეთება და ვფიქრობ, წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენს ქალაქში, რომ შემდეგ უკვე სხვა ქუჩებზეც, სადაც ასეთი რეაბილიტაცია განხორციელდება, გვქონდეს ერთნაირი მიდგომა,“** — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, ვიზუალურად ლამაზი არ არის ქუჩებში განთავსებული ურნები და ეს მიდგომა შესაძლოა, სეპარირების თვალსაზრისითაც განხორციელდეს.

**„ვფიქრობ, ვიზუალურადაც არ არის ლამაზი, ცენტრალურ ქუჩაზე გამოვდივართ და ეს სანაგვე ურნები ზემოთ არის ამოწეული, ეს ბევრ სხვადასხვა პრობლემას ქმნის. რა თქმა უნდა, ეს ურნები ზემოდან დახურული იქნება და ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა, ნაგავი გადაყარონ ჩვეულებრივად... უბრალოდ, ასე ღია და თვალშისაცემი აღარ იქნება, მეტი იქნება სისუფთავე. უკვე დავიწყეთ რეაბილიტირებულ სკვერებში სეპარირებული სანაგვე ურნების დადგმა, ანუ ბოთლი ერთ ურნაში უნდა ჩააგდო, სხვა ნარჩენები — მეორეში და მესამეში. ვფიქრობ, ძალიან კარგი იქნება ამ მიმართულებით წასვლა. მოდი, დავიწყოთ ჭავჭავაძით, რადგან მთლიანად ვაპირებთ არსებული მდგომარეობის გამოსწორებას“,** — განაცხადა დედაქალაქის მერმა.

◉ ვიგონებთ რევაზ ჯაფარიძეს

# ის მუდამ მისხლობით წონიდა სიტყვას

**ვის არ ახსოვს ამ მუდამ საქვეყნოდ კალამაქუხებული, სამშობლოს მოჭირნახულე ჭირისუფალი, თავის დროზე დიდად გახმაურებული რომანების — „ჯარისკაცის ქვრივისა“ და „მძიმე ჯვარის“ ავტორი რევაზ ჯაფარიძე, რომელმაც ჯერ კიდევ ჯარისკაცის ფარაჯაგაუხდელმა, თამამად შემოაღო ქართული მწერლობის მძიმე კარი და თავისი აწონილი სიტყვით ეგრევე მხარში ამოუდგა ბევრ უკვე სახელოვან მწერალს.**

დღეს ის მრავალსაუკუნოვანი ქართული პროზის კლასიკოსია, ვინც თავისი განუმეორებელი სიტყვა თქვა და სამუდამოდ დაიდო ბინა უკიდურესად მკაცრი, მაგრამ სამართლიანი ქართველი მკითხველის გულში. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება იმის თქმა, რომ XX საუკუნის მეორე ნახევარში რევაზ ჯაფარიძის ბადალი კალამუხვი მწერალი-პუბლიცისტი ქვეყანას არ ჰყოლია. იმხანად არ ყოფილა მძაფრად გამორჩეული არც ერთი ეროვნული საკითხი თუ პრობლემა, რომელთაც მძაფრივე გამორჩეულობით კვალში არ ჩასდგომოდა გაუგონრად დიდი ომიდან ახალდაბრუნებული ეს სიმართლის სახელით მებრძოლი უთუოდ სიტყვის დიდოსტატი.

დღეს ის, მართალია, კარგა გვარიანად შეხნიანებული იქნებოდა, მაგრამ სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა, რომ ისევ თავის ბრძოლის ველზე — თავის საწერ მაგიდასთან კალამშემართულს, ჩვეულებისამებრ, მისხალმისხალ ეწონა დედამიწასავით ძველთუძველესი მაწიერი ქართული სიტყვა.

თუმცა, რომელ ღირსეულ მამულიშვილს მორევია სიკვდილი, რომ რევაზ ჯაფარიძეს მორეოდა?! აქვე უთუოდ უპრიანი იქნება, თუ რევაზ ჯაფარიძის მადლიერ მკითხველს შევთავაზებთ ასევე ფრიად და ფრიად გამორჩეული მგოსნის მურმან ლებანიძის ამ ოცდაერთი წლის წინათ დაწერილ ერთ-ერთ ნაკლებად ცნობილ წერილს „დიდ თანარაჭველზე“.

**გურამ გოგიაშვილი**



# მწერალი – ფხიზელი საერო გონებით!

**ჩვენ ერთი თაობის მწერლები ვართ, მხარდამხარ გვიბრძოლია და ურთიერთპატივისცემით გვიცხოვრია, არაერთი მისი წარმატება აღგვინიშნავს, პირადად არაერთხელ მივსალმებივარ ქართული პროზის ჩინებულ ოსტატს, დიალაც ერისკაცს, ეროვნულ მოღვაწესა და ნამდვილ პატრიოტს...**

„და მწერლის საქმეს მოვეკიდები, როგორც ჰკიდიან გუთანს გლეხები“, — წერდა პაოლო იაშვილი და ეს სტრიქონები თითქოს რევაზ ჯაფარიძის თავდადებულ შრომაზე, მის მწერლურ პასუხისმგებლობასა და ნაყოფიერებაზე იყოს დაწერილი.



„განუყოფელია რევაზ ჯაფარიძის ენერგია და შესანატრი მწერლის ხელხვავიანობა, — ამას უკვე მე ვწერდი იუბილარის დაბადების 60 წლისთავზე, — „ხევის პატარძალი“ და „ჯარისკაცის ქვრივი“, „მარუხის თეთრი ღამეები“ და „აწონილი სიტყვა“, სერია რომანებისა და დოკუმენტური მოთხრობების და ბოლოს — „მძიმე ჯვარი“, რუსთაველის პრემიით დაგვირგვინებული...“ — სამოცდაათი წლის გრძელ გზაზე რევაზ ჯაფარიძემ მძაფრი შემოქმედებითი ცხოვრებით იცხოვრა და აურაცხელი შეგვძინა.

ვიმეორებ რევაზ ჯაფარიძის, როგორც მწერლის, ჩემსავე ადრინდელ დახასიათებას:

„მწერალი — ხალხის ინტერესებით მცხოვრები!“

„მწერალი — ფრთხილი საერო გონებით!“

„მწერალი ურყევი მრწამსით!“

„მწერალი — პიროვნება!“

ასეთია რევაზ ჯაფარიძე...

ძმაო რევაზ! გილოცავ სახელოვან იუბილეს, გაგიმარჯოს შენ და გაუმარჯოს შენს შემოქმედებას — ეროვნული სიყვარულით გარემოსილს!

**მურმან ლებანიძე,**
**23 მაისი, 1998 წელი.**

◉ დედაქალაქი

# ორბელიანის განახლებულმა მოედანმა და შვიდმა ქუჩამ თბილისი კიდევ უფრო გაალამაზა!

**მთაწმინდის რაიონში, ისტორიულ არეალში მდებარე ორბელიანის მოედნისა და შვიდი მიმდებარე ქუჩის სრული რეაბილიტაცია უახლოეს მომავალში დასრულდება, — ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მთავრობის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.**

როგორც მან აღნიშნა, მსგავსი მასშტაბური პროექტი დედაქალაქში აქამდე არ განხორციელებულა.

**„მთაწმინდის რაიონში ჩვენ დაწყებული გვაქვს ორბელიანის მოედნისა და მიმდებარე შვიდი ქუჩის სრული რეაბილიტაცია. დაახლოებით, მომავალი თვის დასაწყისში სამუშაოები მთლიანად დასრულდება. ძალიან მნიშვნელოვანია ისტორიული უბნების განახლება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნება, მოვლა-პატრონობა. ამ კონკრეტულ არეალში, 20 შენობა-ნაგებობას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. აქედან 13 არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. ამ ყველაფერს გაფრთხილება სჭირდება. ეს არის თბილისის ხიბლი, რომლითაც ვამაყობთ. ეს მიდგომა სხვა არეალშიც უნდა გავაგრძელოთ“,** — განაცხადა კახა კალაძემ.



**„გახსნის ღონისძიებაზე ყველას დაგპატიჟებთ, მთელ თბილისს შეუძლია მოვიდეს და ერთად ვნახოთ, როგორი გამოვიდა ეს პროექტი თავისი მხატვრული განათებებით შენობებზე. იქამდე ჩვენ კომუნიკაცია კიდევ გვექნება. დარწმუნებული ვარ, რომ ამ პროექტით ყველა თბილისელი იამაყებს“,** — განაცხადა თბილისის მერმა.

მისი თქმით, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, პირველი მიწისქვეშა პარკინგის პროექტი განხორციელდა, რომელიც, დაახლოებით, 170 ავტომანქანაზეა გათვლილი.

კახა კალაძის თქმით, გარდა ორბელიანის მოედნისა, დედაქალაქის მასშტაბით რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტია დაგეგმილი, რომელთა განხორციელებაც უახლოეს პერიოდში დაიწყება.

**„ჩვენ ამაზე არ ვჩერდებით. სხვა მნიშვნელოვანი პროექტები გვაქვს დაგეგმილი უახლოეს მომავალში. ახლა ველოდებით ფურცელაძის ქუჩისა და თაბუკაშვილის ქუჩის ნაწილის პროექტირებას, ასევე, გუდიაშვილის ქუჩის, რომელიც სამუზეუმო-საფეხმავლო ქუჩა იქნება. აღნიშნული ქუჩების პროექტირების დასრულების შემდეგ, შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას დავიწყებთ“,** — აღნიშნა თბილისის მერმა.

# თბილისის ბაგა-ბაღების კვებით მომარაგება ყოველმხრივ უზრუნველყოფილია!

**„მინდა, სრული პასუხისმგებლობით და გულწრფელად ვუთხრა აღსაზრდელების მშობლებს, რომ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებში კვებასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ არსებობს“, — ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, სადაც კომპანია „ნილთან“ ხელშეკრულების გაწყვეტის მიზეზებზე ისაუბრა.**

როგორც მან აღნიშნა, ამ ეტაპზე, რამდენიმე კომპანიასთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს და რომელიმე მათგანთან ხელშეკრულება უახლოეს მომავალში გაფორმდება, მანამდე კი კვებით მომარაგებას თავად საბავშვო ბაგა-ბაღების ადმინისტრაციები უზრუნველყოფენ.

**„ორი დღის წინათ ჩვენ გავწყვიტეთ ხელშეკრულება კომპანია „ნილთან“, რომელიც თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღებს საკვები პროდუქტებით ამარაგებდა. ამ კომპანიასთან არაერთხელ გქონდა კომუნიკაცია. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ „ნილი“ ჯეროვნად ასრულებდა თავის უფლებამოსილებას, რაც დავალებული ჰქონდა, თუმცა ბოლო ორი კვირის განმავლობაში, მათ სერი-**




**ოზული ხარვეზები ჰქონდათ ბაღებისთვის საკვების მოწოდებასთან დაკავშირებით. ჩვენ არაერთი გაფრთხილება მივეცით, ბოლოს რამდენიმე შეხვედრაც გავმართეთ. ჩვენი მხრიდან იყო მიმართვა, რომ გამოვლენილი ხარვეზები, რომელიც კატეგორიულად მიუღებელი იყო ჩვენთვის, ძალიან სწრაფად გამოესწორებინათ, თუმცა კომპანიამ ეს ვერ შეძლო და ხელშეკრულება გავუწყვიტეთ. დღეს კვებით მომარაგებას უზრუნველყოფენ თვითონ ბაღები. დაჩქარებული წესით გვაქვს მოლაპარაკება რამდენიმე კომპანიასთან, ვფიქრობ, რამდენიმე დღეში შევძლებთ ხელშეკრულების გაფორმებას და ბაღების საკვები პროდუქტებით მომარაგება ჩვეულებრივ, შერჩეული კომპანიის მიერ გაგრძელდება“,** — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის ბაგა-ბაღებში კვების რაციონის შემუშავებაზე მუნიციპალიტეტმა ძალიან ბევრი იმუშავა და ის საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე შედგა.

**„შემიძლია, ვთქვა, რომ საკვების კალორაჟი საერთაშორისო სტანდარტებით არის გათვალისწინებული. მინდა, მშობლებს ვუთხრა, რომ ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ არის და არც სამომავლოდ იქნება. ჩვენთვის ბავშვები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და მათი ჯანსაღი კვება პრიორიტეტია“,** — აღნიშნა კახა კალაძემ.

# შერლოკ ჰოლმსი ქალების, გრძნობებისა და ამხანაგობის შესახებ

თუ მომავალი შავ დღეში ცხოვრებას მიპირებს, ჯობს, გულცივად ვიფიქრო იმაზე, როგორც ვაჟკაცს შეჰფერის, და არა წარმოსახვის ფუჭი თამაშით გავაფერადშინაარსიანო.

* * *

თავხელმარტოობა მიცავს და მიფარავს.

* * *

მე თვითონ არცროდის არ მიწუწუნია და არც სხვისი წუწუნისთვის მიმიქცევია ყურადღება. ის კი ქალის თვალით ყოველსავე ამას სხვაგვარად უცქეროდა და ვფიქრობ, მართალია. ის დარწმუნებულია, რომ უსამართლობაა, თუ ერთს ბევრად იმაზე მეტი აქვს, ვიდრე ეჭირვება, ათიათასობით კი გაღატაკებულია და მოკლებულია საარსებო საშუალებებს. აი, როგორ უცქეროდა ის ცხოვრებას და, მგონი, ზოგ რასმე დოლარებზე მნიშვნელოვნად ხედავდა.

* * *

ჭეშმარიტად მხეცი უნდა იყვეს ადამიანი, თუ ისეთი ქალი არ მოიძებნა, ვინც იმის სიკვდილს დაიტირებდა.

* * *

საშიშია ძუ ვეფხვისთვის ბოკვრის წაგვრა, ქალისთვის კი ნდოზისა თუ დაბნეულობის დაწუნება.

* * *

ყველაზე ჭკვიანი ქალი ის არის, ვისაც თავისი ჭკუის დამალვა შეუძლია! საფრანგეთში ქალები მუდამ კაცებზე საშიშნი არიან, იმიტომ, რომ ისინი ყოველთვის უფრო ჭკვიანები არიან. ოღონდ იმათ იმის წარმოდგენა არ შეუძლიათ, რომ ჩვენ იმათში გულს ვეძებთ და არა – ჭკუას. ხოლო, როცა ქალები დიდ გავლენას ახდენენ მონარქებზე, ამას მუდამ ამ უკანასკნელთა დამხობამდე მივყავართ.

* * *

ადამიანის მოდგმის წარმომადგენელთა შორის ყველაზე უფრო საშიში უსახლკარო და უმეგობრო მარტოხელა ქალია. საზოგადოების ეს უწყინარესი წევრი ბევრად ბევრი დანაშაულის უცვლელი მიზეზია. ის როგორც მელიების ხროვაში წიწილა, ისეა.

* * *

ქალის თვალები სიტყვებზე ბევრად მეტს ამბობენ.

* * *

ეჭვიანობა ხან სავსებით ცვლის ადამიანის ხასიათს.

* * *

ჩვენ თავისუფალნი არა ვართ ჩვენს სიყვარულში, მაგრამ ჩვენი საქციელის მართვა ჩვენ ხელთ არის.

* * *

დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და იდუმალება ქალს ყოველთვის აღუძრავს ცნობისმოყვარეობას და ბოლოს და ბოლოს სიყვარულს.

* * *

ო, რა ეციებოდა ამქვეყნად, ქალის სიყვარული რომ არ გვათბობდეს!

* * *

ქალის გული და ქალის ჭკუა გამოუცნობი გამოცანაა კაცთათვის. ერთსაც და მეორესაც შეუძლიათ მკვლელობის მიტევებაც, ახსნაც და იმავე დროს სულ წვრილმან რასმე იმის ძალა აქვს, რომ გაუსაძლისად ტანჯოს ისინი.

* * *

ტანჯვის მოთმინებით ატანა თავისთავად ერთ-ერთი უძვირფასესი მაგალითია იმ სულიერთათვის, მოთმინება რომ არა ჰყოფნით.

* * *

ქალებს ისეთ სულის ძლიერებას ფლობენ, რასაც კაცთა ვერავითარი ქველობა ვერ შეედრება.

* * *

საკმაოდ იშვიათად ვჭერმეტყველებ – უმეტესწილად მე უფრო გონება მხელმძღვანელობს, ვიდრე გული.

* * *

ჭკუის ქონა ყოველთვის არ აძლევს ქალს უპირატესობას. ჭკვიან ქალს სულ ადვილად შეუძლია თავისი ქმრის სახელის გატეხა, ჭკუამოკლეს კი მხოლოდ თავისი თავის შერცხვენა ძალუძს.

* * *

აჩრდილთაგან ყოვლის უარესი ჩვენი ძველი სიყვარულის აჩრდილია.

* * *

მაინც უსიამოვნოა, როცა ოჯახის მწუხარება საერთო კუთვნილება ხდება.

* * *

როცა ქალი ფიქრობს, რომ სახლში ხანძარი გაუჩნდა, ინსტინქტი აიძულებს იმის გადარჩენას, რაც ყველაზე მეტად ეძვირფასება.

* * *

თუ იმის გაგება გინდა, რას ფიქრობს შენზე ესა თუ ის ნაცნობი, ადექი და გააბრაზე.

* * *

ცნობილი სიმპტომია, – თქვა ჰოლმსმა, ნამწვი ბუხარში რომ შეაგდო. – კართან მდგომის გაუბედაობა და ჭოჭმანი ყოველთვის იმას მოწმობს, რომ საქმეში სიყვარულია ჩარეული. შეყვარებულ ქალიშვილს რჩევის თხოვნა უნდა, მაგრამ ეშინია: ეტყობა, მეტისმეტად საჩოთირო რამ თხოვნა აქვს. თუ ქალი ნამეტანი შეურაცხყვეს, ის უკვე აღარ მერყეობს და, როგორც წესი, ლამის ჩამოგლიჯოს ზარი. ამ შემთხვევაშიც შეიძლება ვარაუდი, რომ სიყვარულთან გვაქვს საქმე, თუმცა ეს ქალიშვილი არა იმდენად გულმოსულია, რამდენადაც შეშფოთებული და ნაწყენია.

* * *

მე მაინცდამაინც არ ვეტანებოდი ქალებს, რადგან გული ჩემი ყოველთვის თავს ემორჩილებოდა.

* * *

სერ ჰენრის სიყვარული მხოლოდ თვითონ სერ ჰენრის ემუქრება.

* * *

შერლოკ ჰოლმსისთვის ის ქალი (ირენ ადლერი) მუდამ „ამ ქალად“ რჩებოდა.

* * *

ქალს რაც არ უნდა აუკრძალო, ის მაინც თავისას იზამს.

* * *

არ არის უფრო საშიში შხამი, ვიდრე დანაშაულის გრძნობაა.

* * *

იმ ქალს თვალჩაციებული მზერა უნდა მივაპყრო – მე არაერთხელ დავრწმუნებულვარ, რა ძლიერ მოქმედებს ის მზერა ქალებზე.

* * *

შიში ყველანაირ იარაღთაგან ყველაზე უფრო მძლავრი იარაღია.

* * *

მე გამოცდილი კაცი ვარ და ვიცი, რომ ქალური უშუალო ალღო ხანისად ყოველგვარ ლოგიკურ დასკვნებზე ფასეულია.

* * *

იშვიათად, თუ მთელი ცხოვრება არ ეხსომება ქალს ის სულ უბრალო შემთხვევა, რომელმაც ახალი ცხოვრების ალიონი ამცნო.

* * *

არის ქალების ერთი კატეგორია – თუ კაცი შეუყვარდათ, ის სიყვარული სუყოველ დანარჩენ გრძნობას დაძლევს.



* * *

ემოციურობა და საღი აზროვნება ერთმანეთში ვერ რიგდებიან. გარწმუნებთ, რომ ყველაზე ლამაზმა ქალმა, ვინც კი ოდესმე მინახავს, სადაზღვევო თანხა რომ აეღო, თავისი საკუთარი სამი ბავშვი მოწამლა, ყველაზე შეუხედავი ქალი კი, ერთი ჩემი ნაცნობი ფილანთროპი გახლავთ. იმან მილიონ მეოთხედი ფუნტი სტერლინგი ლონდონის ღარიბ-ღატაკთ გადააგო.

* * *

– არა, ჩემო ძვირფასო ვატსონ, მე არ ვმკითხაობ: მკითხაობა და მუცლითმეზღაპრეობა ძალიან ცუდი ჩვეულებაა. ეგ ხომ აშკარად ლოგიკური აზროვნების გამანადგურებელია. თქვენ საკვირველებად და უცნაურად გეჩვენებათ ჩემი ნათქვამი, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემთა აზრთა მდინარების მიყოლა არ შეგიძლიათ, თქვენ პატარ-პატარა ფაქტებს, რომლებიდანაც დიდი დასკვნების გამოტანაა შესაძლებელი, არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებთ. აი, მაგალითად, მე გითხარით, რომ თქვენი ძმა დაუდევარი ყოფილა-მეთქი. თუ საათის ბუდეს კარგად დააკვირდებით, შენიშნავთ, რომ მხოლოდ გაჩხაპნილი კი არა, არამედ მიჭყლეტილიც არის, რაც იმის შედეგია, რომ ის საათთან ერთად სხვა მაგარ ნივთებსაც იდებდა, ვთქვათ, ლითონის ფულს ან გასაღებებს. რაღა თქმა უნდა, დიდი გონებრივი ნიჭი არ არის იმისთვის საჭირო, რომ აქედან დასკვნა ასეთია: კაცი, რომელიც ოცდაათ გინეად ღირებულ საათს ასე აგდებულად ექცევა, ღაფალი და დაუდევარია. არც ის ამბავია ძნელი მისახვედრი, რომ ასეთი ძვირფასი ნივთის მემკვიდრე ანდერძით ბევრ სხვა რამესაც მიიღებდა და პირველ ხანებში უზრუნველად იცხოვრებდა.

* * *

ადამიანი თავის საცოდავი პატივმოყვარეობით, ბეჯითი და გულმოდგინე ბრძოლით ცოტა რამესა გრძნობს და განიცდის იმასთან შედარებით, რასაც ბუნების ძალები მოიცავს!

* * *

თუ თითოეული ადამიანი ამოუხსნელი ამოცანაა, ხალხი მათემატიკურ ერთეულს წარმოადგენს. მაგალითად, ძნელია იმის თქმა, როგორ მოიქცევა ამა თუ იმ შემთხვევაში რომელიმე იმათგანი, სამაგიეროდ, ადვილია ბრბოს საქციელის განსჯა, ინდივიდუმები ერთმანეთისგან დიდად განსხვავდებიან, მაგრამ პროცენტულად იმათი ხასიათების ურთიერთშეფარდება მყარია. ასეთია სტატისტიკა.

* * *

საერთო შთაბეჭდილება დიდად მაცდუნებელი რამეა, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება დეტალებზე უნდა გადაიტანოთ. მე ქალზე დაკვირვებას მუდამ სახელოებიდან ვიწყებ. როცა საქმე კაცს ეხება, მაშინ პირველად მუხლისთავებზე უნდა დააკვირდეთ. თქვენ კარგად შეგინიშნავთ, ამ ქალს სახელოებზე ხავერდი ჰქონდა მიკერებული, ხავერდზე კი ყოველგვარი კვალი კარგად აისარკება. მაჯებს ზემოთ ორმაგი ხაზი იმაზე მეტყველებდა, რომ იგი მანქანაზე მბეჭდავია და სახელოს იმ ადგილით მუდამ მაგიდას ეხახუნება. ხელის საკერავი მანქანაც ასეთსავე კვალს ტოვებს, მაგრამ, მაშინ კვალი მარცხენა სახელოზე ექნებოდა და ისიც მაჯის გარეთა მხარეზე. მერე სახეზე შევხედე და ცხვირზე სათვალის კვალი შევნიშნე, ამის გამო იყო, რომ ვუთხარი, ახლომხედველი ხართ და მანქანაზე ბეჭდვას მაინც თავს აკლავთ-მეთქი. ის გაოცდა და, ალბათ, იფიქრა, ნამდვილად წინასწარმეტყველის ნიჭით არის დაჯილდოებულიო.

* * *

– აი, ეს ძალიან საყურადღებოა, – თქვა ჰოლმსმა, – კარგა ხანია, რაც ჩემთვის აქ არის ქცეული, რომ წვრილმანი ამბებიდან ღირებული დასკვნების გამოტანა შეიძლება. ხომ არ შეგიძლიათ, წვრილმანი რამ ამბები მოიგონოთ ჰოსმერ ენჯელის შესახებ?

**(გაგრძელება იქნება)**

„ყველაზე ძლიერი გონებაც კი შეიძლება რომ ერთხელ შეცდეს“



*ასე ამბობდა შერლოკ ჰოლმსი*

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №95, 97-101





# სალომე ზურაბიშვილი: საქართველო პატარა ქვეყანაა, რომელიც ისევ ევროპაზე ოცნებობს!

**საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი EURONEWS-ის მიერ გამართულ დებატებს „ხალხის ევროპა თუ პოპულისტების ევროპა“ დაესწრო.** სალომე ზურაბიშვილმა აღნიშნა, რომ ყალიბდება სხვადასხვა მოძრაობები, რომლებიც ცდილობენ ევროპის დაშლას ან დასუსტებას.

**„ოდნავ ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ამოუცნობი მფრინავი ობიექტი ვარ, რადგან ევროპა, რომელზედაც უნდა გესაუბროთ, არ არის პოპულიზმის ევროპა, არ არის უკმაყოფილების ევროპა, არ არის ევროპა, სადაც ყალიბდება სხვადასხვა მოძრაობები, რომლებიც ცდილობენ მის დაშლას ან დასუსტებას, არამედ ეს არის ევროპა, რომელსაც ჩვენ ველით, რომელსაც ენთუზიაზმით ვუყურებთ“,** — აღნიშნა პრეზიდენტმა.

**„საქართველო პატარა ქვეყანაა, რომელიც ისევ ევროპაზე ოცნებობს, ეს არის ოცნება, რომელიც თქვენ ყველას გქონდათ წლების ან ათწლეულების წინ, ოცნება, რომლითაც ჩვენ ამჟამად ვცხოვრობთ. თუ თქვენ ჩამოხვალთ საქართველოში, თუ ეწვევით თბილისს, ნახავთ, რომ ჩვენი სახელმწიფო შენობების უმეტესობაზე აღმართულია ევროპის დროშები, ნახავთ, რომ ჩვენ არსებითად ევროპისკენ ვიყურებით“,** — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა. ზურაბიშვილის აზრით, ევროპაში ქართველები არიან, როგორც არალეგალურ, ასევე ლეგალურ მიგრანტებს შორის, რადგან ეს არის მათ მიერ აღქმული მომავალი.

**„ქართველები ყოველდღიურად მხარს უჭერენ ევროპას. სამწუხაროდ, ქართველები არიან როგორც ლეგალურ, ისე არალეგალურ მიგრანტებს შორის, რომლებიც ჩამოდიან ევროპაში, რადგან ეს არის მათ მიერ აღქმული მომავალი. ჩვენ, ხელისუფლება, ვაშენებთ რაც შეიძლება მეტად ევროპულ ქვეყანას, რათა ხვალ ახალგაზრდობას საქართველოში ჰქონდეს ის, რაც გაქვთ თქვენ — ცხოვრების ევროპული სტანდარტები, ევროპული სოციალური დაცვა, ევროპული გარემოს დაცვა და უსაფრთხოება, რომელიც არსებობს თქვენთან, აგრეთვე ევროპული მშვიდობა, რომელიც ევროპის ფუნდამენტია, რომელმაც ყველა გამოწვევას გაუძლო და რომელიც ზოგჯერ დღეს ევროპის მოსახლეობას იმდენად ბუნებრივი ეჩვენება, რომ არ არსებობს მისი ყოველდღიურად დაცვის საჭიროება და რომლის წყალობითაც ევროპაში შეგვიძლია თავს მივცეთ იმის ფუფუნება, რომ ვიყოთ პოპულისტური, სკეპტიკური, ანტიევროპული, რადგან ყველაფერი გარანტირებულია“,** — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

# იმედი სულ ბოლოს კვდება!



## თუკი ამერიკელებმა გადაწყვიტეს, რომ მათ საქართველოს ტერიტორია სჭირდებათ, ისინი მოახერხებენ და დაიყოლიებენ მათ, ვისი დაყოლიებაც საჭიროა!..

**იმ ვითარებაში, როდესაც ამერიკული ბაზების განლაგებაზე მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს, საქართველოში პოლიტიკოსების ჩამჭრელ შეკითხვად მაინც რჩება, გვჭირდება თუ არა ამერიკული ბაზები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე?!**

**პირველად სალომე ზურაბიშვილი გაება ამ მახეში, როდესაც „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რომ საქართველოში ამერიკული სამხედრო ბაზის აშენება პროვოკაციად შეიძლება იქნეს აღქმული და, ამდენად, შესაძლოა, ამერიკული ბაზის აშენება არ იყოს საჭირო.**

**მეორედ უკვე თბილისის მერი კახა კალაძე „ამხილეს“ საკუთარი ნათქვამის გამო, როდესაც მან განმარტა, რომ „საქართველოში ამერიკული ბაზების გახსნას აქვს როგორც მინუსები, ისე პლუსები, ეს რთული თემაა და ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას“.**

**და მაინც, თუკი ეს საკითხი დღის წესრიგში დადგება, მაშინ საინტერესოა, რომელს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა — ამერიკულ თუ ნატოს ბაზებს?**

აღმოსავლეთმცოდნე **დავით კობერიძე** აცხადებს, რომ კახა კალაძისა და სალომე ზურაბიშვილის სიფრთხილეს შესაძლოა, ადამიანთა გარკვეული კატეგორია დაეთანხმოს, ან არ დაეთანხმოს. უბრალოდ, სასურველია, საქართველოში იმყოფებოდეს ჩვენი ქვეყნისვე საჯარისო შენაერთები და არც ერთი უცხო ქვეყნის ბაზა არ იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ფუფუნება არ გვაქვს.

**„საქართველოში თუ განთავსდა ნატოს ბაზა (და არა ამერიკული ბაზა), ეს არ იქნება ცუდი. დიდი ხანია, ჩვენ ვმონაწილეობთ ნატოს ოპერაციებში და ეს გასაკვირი არ იქნება. რაც უფრო „მეტი ნატო“ იქნება ჩვენთან, მით უკეთესი. ცხადია, რუსეთს ეს არ ესიამოვნება, თუმცა აქ არის ორი სცენარი: ამით შესაძლოა, რუსეთთან მეტი სავაჭრო კოზირი მოგვეცეს მომავალში, ან შეიძლება ამან საერთოდაც არ გაამართლოს და, პირიქით, რუსეთმა სულაც არ მოინდომოს ჩვენთან ურთიერთობა. მაინც გარწმუნებთ, რომ რუსეთი მოინდომებს ჩვენთან ვაჭრობას, რადგან არის რამდენიმე თემა, რომელსაც რუსეთი ჩვენთან მოლაპარაკების გარეშე ვერ გადაჭრის. ეს ჩრდილო კავკასიას ეხება. დამიჯერეთ, საქართველოს როლი აქ მნიშვნელოვანია“,** — აცხადებს დავით კობერიძე და შეკითხვის საპასუხოდ, **„ეს ნიშნავს, რომ პუტინს კადიროვთან საქმე მოგვარებული აქვს?“,** — განმარტავს, რომ, მთლიანობაში, ჩრდილო კავკასიაში პრობლემები მოგვარებული არ არის. ამის მაგალითია ის, რაც ახლა დაღესტანში ხდება.

გარდა ამისა, ჩრდილო კავკასიის რამდენიმე რეგიონი პატარა ნაპერწკალს ელოდება, რომ აფეთქდეს. ძალიან ბევრი ძალა, არა მარტო შიდა რუსული, არამედ გარე ძალები ხელს უწყობენ იმას, რომ ჩრდილო კავკასიაში სიტუაცია აფეთქდეს. ამდენად, საქართველოს როლი ჩრდილო კავკასიის, დაღესტნის სტაბილურობაში მნიშვნელოვანია და მომავალში უფრო მნიშვნელოვანი შეიძლება გახდეს.

დავით კობერიძის განმარტებით, ამ ეტაპზე ჩვენ ასეთი არჩევანის წინაშე არ ვდგავართ, რომელი გვირჩევნია — ნატოს თუ ამერიკის ბაზები, არ გვაქვს ასეთი არჩევანი. თავის მხრივ, ამერიკის სამხედრო ბაზების გამართვასა და განხორციელებას ძალიან დიდი დრო, დიდი სახსრები, დიდი მონდომება სჭირდება, ეს ასე მალე არ კეთდება. ისედაც, თუ ამერიკელებმა გადაწყვიტეს, საქართველოს ტერიტორია გამოიყენონ, როგორც სატრანზიტო ტერიტორია ირანზე გარკვეული იერიშების მისატანად, ისინი გამონახავენ ამის განხორციელების გზებს, მაგრამ მათ ეს გზა არ სჭირდებათ, რადგან უამრავი მხრიდან ჰყავთ ალყაშემორტყმული ირანი. იქვეა ავღანეთი, პაკისტანი, გაერთიანებული საამიროები, საუდის არაბეთი, უამრავი მცურავი საშუალებაა შეყვანილი სპარსეთის ყურეში და კიდევ ვინ იცის, რამდენი შევა.

**„ამდენად, საქართველოს ტერიტორია არ არის ამ შემთხვევაში გადამწყვეტი. მაინცდამაინც საქართველოდან უნდა დაარტყან თუნდაც ირანს? ირანი არ არის მარტივი სახელმწიფო, ეს მძიმე შედეგს გამოიწვევს. წარმოგიდგენიათ, ირანი რომ მასიურად დაიბომბოს, მისი ქალაქებით, დასახლებული პუნქტებით, აქ ლტოლვილთა ნაკადები დაიძრება, ეს ნაკადები ჩრდილოეთისკენაც წამოვა, შეიძლება, ჩვენამდეც მოაღწიოს. ჩვენ ეს გვინდა? გვაკლია ლტოლვილები? ჩვენი ლტოლვილებისთვის ვერ მიგვიხედავს და სხვის ლტოლვილებს როგორ მივხედავთ?“** — აცხადებს აღმოსავლეთმცოდნე და შეკითხვის საპასუხოდ, **„ამერიკელებს მხოლოდ ირანის საწინააღმდეგოდ სჭირდებათ საქართველოს ტერიტორია?“** — განმარტავს, რომ ყველაფერი ურთიერთკავშირშია, მათ შორის, ამერიკულ-ირანული ურთიერთობების კონტექსტიც.

მისი თქმით, სასურველი არაა, რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ბაზა იყოს, თუმცა საქართველო თავისებურ პირობებში იმყოფება და ჩვენ ნეიტრალიტეტს ვერ ავირჩევთ, იმდენად დიდი ფუფუნებაა ნეიტრალიტეტი. ამდენად, თუკი ამერიკელებმა გადაწყვიტეს, რომ მათ საქართველოს ტერიტორიის გამოყენება უნდათ საჰაერო ძალებისთვის, ლოჯისტიკისთვის, ისინი მოახერხებენ ამის გაკეთებას ჩვენთან და დაიყოლიებენ მათ, ვისი დაყოლიებაც საჭიროა. ასე რომ, ჩვენს პოლიტიკოსთა ფრთხილი თუ არაფრთხილი განცხადებები დავიწყებული იქნება.

უფრო მეტიც, დავით კობერიძე აცხადებს, რომ შეიძლება გამოყენებული იყოს არა მარტო ჩვენი, არამედ აზერბაიჯანის ინფრასტრუქტურაც. არ არის გამორიცხული, აზერბაიჯანის ინფრასტრუქტურა ისრაელმაც გამოიყენოს, რადგან ისრაელს ბრწყინვალე ურთიერთობა აქვს აზერბაიჯანთან სამხედრო-ტექნიკური ურთიერთობის თვალსაზრისით. მართალია, აზერბაიჯანელები მუსლიმანები არიან, მაგრამ ისრაელთან მათი კარგი ურთიერთობა დამყარებულია ირანთან დაპირისპირებაზე.

„სახალხო პარტიის“ ლიდერი **მამუკა გიორგაძე** აცხადებს, რომ ნატოსთან ურთიერთობა არ დარეგულირდება მანამ, სანამ არ დამთავრდება საბჭოთა მართვის სისტემა ჩვენს ქვეყანაში. მისი აზრით, დღევანდელ სიტუაციაში ნატო ვერ შეძლებს, იმ ქვეყანასთან დაამყაროს კავშირი, სადაც სახელმწიფო და პარტიული სტრუქტურები გაერთიანებულია, სადაც მონოპოლიზებულია პოლიტიკური პარტიული სისტემა, ბიზნესი, სასამართლო. ეს რომ მოგვარდება, მაშინ ხელ-ფეხი გაეხსნება დასავლეთს, რათა საქართველოსთან უფრო მჭიდრო სამოკავშირეო ხელშეკრულება დადოს.

**„რაც შეეხება ბაზებს, საქართველოში ამერიკის ბაზა შემოვა თუ ნატოს ბაზა, რა მნიშვნელობა აქვს? აქ მთავარია, რომ იმ ტერიტორიას, სადაც ეს ბაზა განთავსდება, ამერიკა თვითონვე დაიცავს. თუკი მთელ მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სამხედრო სახელმწიფო საქართველოში ბაზას განათავსებს, მერე ვინ მოჰკიდებს ხელს საქართველოს? ვინ გაბედავს, შეეხოს ამ ტერიტორიას? ესტონეთის, ლიეტუვას და სხვა ქვეყნების მაგალითი ნათლად აჩვენებს ამ ყოველივეს. თუკი ნატომ ათათურქს მოჰკიდა ხელი, მას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ის არ იყო თავისი ინტერესებით საეჭვო ნატოსთვის. ჩვენ კი საეჭვონი ვართ, რადგან შესაძლებელია, ხვალ საქართველოში განწყობები მარტივად შეიცვალოს რუსეთთან მიმართებით“.**

**მანანა ნოზაძე**

# საოკუპაციო რეჟიმი ოპოზიციასთან დათმობაზე წავიდა

ოკუპირებულ აფხაზეთში საოკუპაციო რეჟიმის ე.წ. პარლამენტის წინ საპროტესტო აქციის მონაწილეებსა და დე ფაქტო ხელისუფლებას შორის შეთანხმება შედგა, ე.წ. პრეზიდენტის არჩევნები 25 აგვისტოს გაიმართება. ოპოზიცია ე.წ. არჩევნების ვადის გადატანას მათი კანდიდატის ასლან ბჟანიას ავადმყოფობის გამო ითხოვდნენ, რომელიც აპრილის თვეში მოწამლეს.

ე.წ. ხელისუფლება თანახმაა, რომ ასლან ბჟანია თავად არ ესწრებოდეს რეგისტრაციის პროცესს და ამასთან არ ჩააბაროს აფხაზური ენის გამოცდა. დე ფაქტო პრეზიდენტის გადაწყვეტილება პარლამენტის შენობის წინ შეკრებილებს ოპოზიციური ბლოკის წარმომადგენელმა გააცნო. მისი თქმით, რაულ ხაჯიმბა მზადაა, თავად დაადასტუროს რომ ბჟანია შესანიშნავად ფლობს აფხაზურს და მას გამოცდა არ სჭირდება. ოპოზიციის წარმომადგენლის განცხადებით, ორთვიანი გადავადების პერიოდი საკმარისია მათი მთავარი კანდიდატის ასლან ბჟანიას გამოჯანმრთელებისთვის.

რაულ ხაჯიმბას პრეს-სამსახურის განმარტებით, საბოლოო გადაწყვეტილება ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა მიიღოს.



# ანომალია ატლანტის ოკეანეში, რომელიც ტექტონიკური ფილების შრეებად დაყოფას იწვევს

**მეცნიერებმა მიაგნეს მტკიცებულებას, რომელიც, სავარაუდოდ, ატლანტის ოკეანის ქვეშ ტექტონიკური ფილების ორ სხვადასხვა ფენად განცალკევებაზე მიუთითებს.**

დაყოფის ეს ეპიკური, მაგრამ ჰიპოთეტური ფენომენი, რომლის განფენილობასაც კომპიუტერულ მოდელირებაში ვაფიქსირებთ — შესაძლოა, პასუხისმგებელი იყოს ახალი სუბდუქციური ზონის გაჩენაზე, სადაც დედამიწის ტექტონიკური ფილები ერთმანეთს ძლიერ აწვება. ლისაბონის უნივერსიტეტის საზღვაო გეოლოგი ჟუან დუარტე თავის მშობლიური ქალაქის სეისმურ ისტორიას წლების განმავლობაში სწავლობდა; განსაკუთრებით აინტერესებდა 1755 წლის ლისაბონის დიდი მიწისძვრა, რომელსაც ცუნამიც მოჰყვა და ქალაქი თითქმის მთლიანად აღგავა მიწის პირიდან; დაიღუპა 100 000-ზე მეტი ადამიანი.

საუკუნეების შემდეგ, 1969 წელს, იმავე რეგიონში სეისმოლოგებმა მცირე ბიძგები შენიშნეს, რასაც ადამიანური მსხვერპლი არ მოჰყოლია. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ ამ ადგილას მიწისძვრები საერთოდაც არ უნდა ხდებოდეს, რადგან რეგიონი, სადაც ბიძგები წარმოიქმნა, მეჩხერი, აბისალური ვაკეა ზღვის ფსკერზე, პირენეის ნახევარკუნძულის გასწვრივ, რომელიმე აქტიური ტექტონიკური ნასხლეტისგან ძალიან შორს. მაგრამ ამ ზღვის ფსკერის ბრტყელი, არაფრით გამორჩეული ლანდშაფტის ქვეშ ძალიან ღრმად, დუარტეს თქმით რაღაც ხდება, რაღაც სეისმური.

დუარტესა და მისი ჯგუფის მიერ ჩატარებული ახალი კვლევის მიხედვით, ეს სეისმური ზონა მდებარეობს სეისმურად მშვიდი ფენის ქვეშ და წარმოიქმნება ლითოსფერული ზედა მანტიის სერპანტინიზაციის ზრდის შედეგად.

სერპანტინიზაცია გეოლოგიური პროცესია, რომლის დროსაც კლდოვანი სტრუქტურები წყალს იწოვს. მკვლევართა განცხადებით, სწორედ ამ პროცესის შედეგად შეიძლება ხდებოდეს პორტუგალიის სანაპიროს სიახლოვეს ოკეანური ლითოსფეროს ორ შრედ გაყოფა, რასაც პოტენციურად თან უნდა ახლდეს ბიძგების წარმოქმნა.

როგორც მკვლევარები წერენ, რამდენიმე ტომოგრაფიული მოდელი გამუდმებით ილებდა სწრაფად მოძრავ ანომალიას, რომელიც ოკეანის სიღრმეში, ნაპირიდან 250 კმ-ზე ვრცელდებოდა, ზუსტად სეისმურობის გროვის ქვეშ.

მათი განცხადებით, ეს ანომალია გახლავთ ლითოსფერული ჩამოღვენთვა, რაც გამოწვეულია ოკეანის ლითოსფეროს ფენებად დაშლით. გარდა ამისა, ეს პირველი შემთხვევაა, როცა მეცნიერებმა ოკეანის ლითოსფეროს ფენებად დაშლა გამოავლინეს. დუარტეს თქმით, სუბდუქციის მიზეზების გარკვევა დედამიწის მეცნიერების ერთ-ერთი გადაუჭრელი პრობლემაა და ლისაბონის სანაპირო შესაძლოა, ერთგვარი ბუნებრივი ლაბორატორია იყოს მის გადასაჭრელად.

სუბდუქციის პროცესს ჰიპოთეტურად შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს სრულიად ახალ სუპერკონტინენტსაც.

2016 წელს ჩატარებულ კვლევაში, ძველ, არასტაბილურ ოკეანურ ლითოსფეროზე დაყრდნობით, დუარტემ და მისმა კოლეგებმა წარმოადგინეს ახალი კონცეპტუალური მოდელი. ამ მოდელის მიხედვით, წყნარი და ატლანტის ოკეანეები თანდათან ერთმანეთს უახლოვდებიან და წარმოქმნიან ერთ სუპერკონტინეტს, რომელსაც მათ „აურიკა“ უწოდეს.

*მომზადებულია National Geographic-ისა და ScienceAlert-ის მიხედვით.*

# რამდენად შორს ისმის კაცობრიობის ხმა კოსმოსში?!

**თუკი დედამიწის მიღმა სამყაროში გონიერი სიცოცხლე სადმე არსებობს, რატომ ვერ ვიპოვეთ მისი რაიმე მტკიცებულება ამ დრომდე? ამ შეკითხვას ფერმის პარადოქსს უწოდებენ და არსებობს რამდენიმე პოტენციური პასუხიც.**

თუმცა, ქვემოთ მოცემული ერთი ფოტო ძალიან ბევრ რამეზე მეტყველებს. კოსმოსი წარმოუდგენლად დიდია და საინტერესოა, მის რა ნაწილს სწვდება კაცობრიობა ამჟამად? — წარმოუდგენლად მცირეს.

მოცემულ ფოტორეკონსტრუქციაზე ასახულია ჩვენი გალაქტიკა ირმის ნახტომი 110 000 სინათლის წლის დიამეტრით (ბოლო კვლევების თანახმად, ის უფრო დიდია). ქვედა მარჯვენა კუთხეში მოცემული ლურჯი წერტილი ასახავს, თუ სადამდეა გასული რადიოსიგნალები დედამიწიდან — დაახლოებით 200 სინათლის წლის დიამეტრზე. რადიოს გამოგონებაზე მეცხრამეტე საუკუნეში მრავალი გენიოსი მუშაობდა, მაგრამ სიგნალის პირველი გადაცემა მხოლოდ 1895 წელს მოხერხდა. რამდენიმე წლის შემდეგ დაიწყო რადიომაუწყებლობაც. პირველი სპეციალურად განზრახული რადიოსიგნალი, სახელად არესიბოს შეტყობინება კოსმოსში 1974 წელს გაუშვეს, მაგრამ დედამიწიდან კოსმოსში რადიოსიგნალები უკვე ას წელზე მეტია, ჟონავს.

ბევრ მათგანს, სავარაუდოდ, ამახინჯებს იონოსფერო. მაგრამ ამ ზღვარს გაცდენილი სიგნალებიც კი, რომლებიც ჩვენგან უკვე 100 სინათლის წლით უნდა იყოს დაშორებული, იმდენად სუსტი იქნება, რომ მათი დაფიქსირება, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

გამომდინარე აქედან, თუკი ამ რადიუსს მიღმა არსებობს გონიერი ცივილიზაცია და თუ მათ რადიოტექნოლოგია აქვთ, სავარაუდოდ, ჩვენი სიგნალების დაჭერას ისინი ვერ შეძლებენ.

იგივე შეიძლება ხდებოდეს პირიქითაც. იქნებ სადღაც, 100 სინათლის წლის მოშორებით არსებობს



ცივილიზაცია, რომელმაც რადიოტექნოლოგია ზუსტად იმ დროს შექმნა, როცა ჩვენ, მაგრამ მათი სიგნალები იმდენად სუსტია, რომ ვერ ვაფიქსირებთ.

ნაკლებ სავარაუდოა, თვალუწვდენელ კოსმოსში გონიერთა სიცოცხლე მხოლოდ ერთხელ, ერთ პლანეტაზე განვითარებულიყო, მაგრამ, რამდენადაც თვალუწვდენელია კოსმოსი, მით უფრო ნაკლებ სავარაუდოა, რომ ჩვენ ასეთ ცივილიზაციებს მალე ვიპოვით.




# აღმოჩენილია უძველესი შამანის ჩანთა, რომელშიც მრავალი ფსიქოტროპული საშუალება, მათ შორის კოკაინიც იდო...

**დაახლოებით 1000 წლის წინათ სამხრეთ ამერიკაში მცხოვრები შამანები როგორც ჩანს, საკმაოდ კარგად ერკვეოდნენ ფარმაკოლოგიაში. ბოლივიაში აღმოჩენილ შამანის ჩანთაში იპოვეს სპეციალური ჯიბე, რომელშიც სხვადასხვა ფსიქოტროპულ მცენარეთა კვალი ფიქსირდება; იქვეა საკმაოდ შთამბეჭდავი პირადი ნივთების კოლექცია.**

წამლების ჯიბე სამი მელიის დინგისგანაა შეკერილი; მასში ასევე იპოვეს ხის დაფები ფსიქოტროპულ მცენარეთა დასაფქვავად, ძვლის ორი კოვზი, თავზე შემოსაკრავი ქსოვილი და მცენარეების მოსაწევი მილი, რომელსაც ადამიანის თმის ორი ნაწნავი ჰქონდა შემოხვეული. პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანთროპოლოგის ჟოზე კაპრილსის განცხადებით, აქამდეც ცნობილი იყო, რომ სამხრეთ და ცენტრალური ანდების საზოგადოებებში საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო სპირიტუალური და რელიგიური აქტივობები, მაგრამ არაფერი იყო ცნობილი იმის შესახებ, რომ ეს ხალხი ასე ბევრ ნივთიერებას იყენებდა, რომლებსაც შესაძლოა, ერთმანეთშიც ურევდნენ.

მისი თქმით, ამდენი ფსიქოაქტიური ნივთიერება სამხრეთ ამერიკის ერთ რომელიმე კონკრეტულ ძეგლზე აქამდე არასოდეს აღმოუჩენიათ.

ისტორიის განმავლობაში, აღქმის შესაცვლელად ადამიანები მთელ მსოფლიოში იყენებდნენ მცენარეებისგან დამზადებულ ნივთიერებებს, ხშირად რელიგიური ან სარიტუალო დანიშნულებით. იმის გარკვევა, ზუსტად რა მცენარეები იყო ისინი და როგორ იყენებდნენ, ბევრ რამეს გვეტყვის უძველეს ადამიანთა ცოდნაზე; ასევე, რომელი მცენარეები იყო მათ კულტურაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.

2008-2010 წლებში, ბოლივიაში, მდინარე სორას მშრალ ხეობაში არქეოლოგები ადამიანთა ცხოვრების ნიშნებს ეძებდნენ, მათი ძირითადი მიზანი სულ არ ყოფილა ფსიქოტროპულ ნივთიერებათა ნაშთების პოვნა.

კუევა-დელ-ჩილენტოს მღვიმეში მათ ტყავის ტომარა იპოვეს. რადიონახშირბადული დათარიღებით გაირკვა, რომ ტყავი დაახლოებით ათასი წლის წინანდელია.

სკალპელის საშუალებით, არქეოლოგებმა მცირე ნიმუში აიღეს მელიის დინგისგან დამზადებული ჯიბიდან, რომელსაც ანალიზები სპეციალური ტექნოლოგიით ჩაუტარეს.

ანალიზების შედეგად გაირკვა, რომ ჯიბეში სულ მცირე 4-5 სხვადასხვა მცენარის კვალი იყო.

როგორც კვლევაში წერია, ჩანთაში ჩაკერებული ჯიბიდან აღებულ ნიმუშებში დაფიქსირდა ბუფოტენინის, დიმეთილტრიპტამინის, ჰარმინისა და კოკაინის ქიმიური კვალი; ასევე გამოვლინდა მათი დაშლის შედეგად მიღებული პროდუქტი ბენზოილეკგონინი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იქ მოთავსებული სულ მცირე სამი მცენარე შამანის საკუთრებას წარმოადგენდა.

მეცნიერთა განცხადებით, ჰარმინის და დიმეთილტრიპტამინი აიაუსაკას ორი მთავარი ინგრედიენტი იყო. აიაუსაკა ამ საზოგადოებების ჰალუცინოგენური ჩაი იყო.

უცნობია, როგორ ამზადებდნენ ეს ადამიანები ამ მცენარეებისგან ჰალუცინოგენურ ნივთიერებებს, მაგრამ აღმოჩენა ნათლად ადასტურებს, რომ დაახლოებით 1000 წლის წინათ მდინარე სორას ხეობის მცხოვრებლებმა საკმაოდ ბევრი რამ იცოდნენ მცენარეთა თვისებების შესახებ.

ჩანთის მფლობელი დიდი ალბათობით შამანი იყო. სულიერმა ლიდერებმა ყველაზე კარგად იცოდნენ მცენარეების გამოყენება ადამიანთა აღქმის მდგომარეობის შესაცვლელად, რათა კავშირი დაემყარებინათ სულების სამყაროსთან.

გარდა ამისა, ეს უძველესი ჩანთა ასევე ადასტურებს, რომ საკმაოდ დიდ ძალისხმევას იჩენდა ფსიქოტროპულ ნივთიერებათა შესაქმნელად, რაც იმაზე მიუთიუთებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო მათთვის „სულების სამყაროსთან“ კავშირი.

*მომზადებულია eurekalert.org-ისა და ScienceAlert-ის მიხედვით.*

**გვერდი მოამზადა მიხეილ ჭაბუკაშვილის მასალების მიხედვით**

დედამიწის ჭერზე

# მეთერთმეტე ქართველი ჯომოლუნგმაზე



**55 წლის ავთანდილ ცინცაძე რიგით მე-11 ქართველი ალპინისტი გახდა, რომელმაც დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე - ევერესტზე ასვლა შეძლო. საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდენტმა, რომელიც ამავდროულად ჯო ენის სამედიცინო ცენტრის კარდიოქირურგია, 8848 მეტრზე, 16 მაისს, დილის 9 საათზე შედგა ფეხი.**

კანადელი ალპინისტის კლეიტონ მეთიუზის მეთაურობით ინტერნაციონალური ექსპედიცია ჯომოლუნგმას გრძელ და რთულ გზას 2 აპრილს დაადგა. ავთანდილ ცინცაძის გარდა, ჯგუფში ბრიტანელი მაჰერ დეან მარკი, კორეელი ლი კილ ბონგი, ინდოელი კაკა კევალ ჰირენი და ექვსი ნეპალელი შერპი იყო.

ექსპედიციამ მიზანს 44 დღეში მიაღწია და ახლა უკან ბრუნდება. ევერესტზე სამჯერ ასული გია თორთლაძე „ამერიკის ხმასთან" ამბობს, რომ ამ წარმატებით ყველამ უნდა იამაყოს:

**„ავთო ცინცაძისთვის ეს არის მესამე რვაათასიანი და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზეც ავიდა უკვე. 56 წლის ხდება ავთო და დიდი მიღწევაა, რომ ასეთ ასაკში შეინარჩუნა კონდიციები და ევერესტი დალაშქრა. ვინც არ უნდა იყოს და რა ასაკშიც არ უნდა ავიდეს, ევერესტი არის დედამიწის სახურავი, ამიტომ ძალიან საამაყო და სასიხარულოა, რომ ქართულ ალპინიზმში არიან ადამიანები, რომლებსაც ევერესტზე ასვლა შეუძლიათ.**

**ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, რადგან ევერესტის დალაშქვრა მარტივად არ ხდება და ურთულესი პროცესია, ამიტომ ვფიქრობ, რომ ნებისმიერი ქვეყნისთვის საამაყოა, როდესაც მისი შვილები ადიან უმაღლეს მწვერვალზე. არის მთელი რიგი ქვეყნები, რომელთა მთამსვლელები ევერესტზე არასოდეს ყოფილან, საქართველოში კი უკვე მე-11 ადამიანია, რომელმაც ეს შეძლო. ვულოცავ მთელ საქართველოს და ვულოცავ ავთოს"** — ამბობს გია თორთლაძე.

ევერესტი და ჰიმალაები დიდი ხნის მანძილზე ქართველ მთამსვლელთა არაერთი თაობის აუხდენელი ოცნება იყო. რკინის ფარდის და საბჭოთა სისტემის წყალობით, მთამსვლელობის მექაში ქართული ალპინიზმის არაერთი ლეგენდა უბრალოდ ვერ მოხვდა. გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ჰიმალაებში გამგზავრება ვერ შეძლო ქართულმა ექსპედიციამ, რომელიც თბილისში ყოფნისას ნეპალის მეფე მაჰენდრამ პირადად მიიწვია.

მოჯადოებული წრე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 7 თვეში, 1991 წლის 10 ოქტომბერს, 54 წლის რომან გიუტაშვილმა გაარღვია. იგი ევერესტზე ამერიკელ მეწყვილე დენიელ მეზურთან ერთად ავიდა და მწვერვალზე ნეპალში გათხოვილი ქართველი ქალბატონის თალიკო ყუბუსიძის შეკერილი საქართველოს შინდისფერი დროშა პირველმა გაშალა.

ქართული ალპინიზმისთვის განსაკუთრებული იყო 1999 წლის მაისი. 12 მაისს ევერესტის წვერზე ფეხი ბიძინა გუჯაბიძემ, აფი გიგანმა, ბენო ქაშაკაშვილმა და ლევ სარქისოვმა დადგეს.

26 მაისს, დამოუკიდებლობის დღეს კი ჯომოლუნგმას თავზე მერაბ ხაბაზი (გამორჩეული მთამსვლელი, რომელიც ზაალ ქიქოძესთან ერთად 2005 წლის ივლისში უშბაზე ტრაგიკულად დაიღუპა), მამუკა ციხისელი და ირაკლი უგულავა მოექცნენ. მოგვიანებით მწვერვალზე მერაბ ნემსიწვერიძე და გია თორთლაძე ავიდნენ.

გია თორთლაძემ ევერესტის დალაშქვრა კიდევ ორჯერ, 2001 და 2012 წლებში შეძლო. ბიძინა გუჯაბიძე მეორედ, 2003 წელს, სამხრეთის შემდეგ, უკვე ჩრდილოეთის მარშრუტით ავიდა, 2019 წლის 16 მაისს კი საქართველოს „ევერესტის კლუბს" მე-11 წევრი ავთანდილ ცინცაძე შეემატა.

15-16 მაისს ჯომოლუნგმაზე ორი ახალი რეკორდი დამყარდა. მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე 23-ედ ავიდა 49 წლის ნეპალელი კაპი რიტა შერპა, რაც ახალი მსოფლიო რეკორდია, სამხრეთ აფრიკელი სარეი ნკუსი კუმალო კი გახდა პირველი აფრიკელი შავკანიანი ქალი, რომელმაც ევერესტის დალაშქვრა შეძლო.

სამწუხაროდ, ექსპედიცია, რომელშიც კუმალო შედის, უკან ძალიან მძიმე დანაკარგებით ბრუნდება. 17 მაისს, 8300 მეტრ სიმაღლეზე, ირლანდიელი ალპინისტი გადაიჩეხა და მისი ცხედარი ამ დრომდე არ უპოვიათ, ხოლო გუშინ, 7920 მეტრზე, ინდოელი მთამსვლელი დაიღუპა.

### ევერესტის „ქართული კლუბი" 1991-2019

**10.10.1991 — რომან გიუტაშვილი;**

**12.05.1999 — ბიძინა გუჯაბიძე, აფი გიგანი, ლევ სარქისოვი, ბენო ქაშაკაშვილი;**

**26.05.1999 — მერაბ ხაბაზი, მამუკა ციხისელი, ირაკლი უგულავა, მერაბ ნემსიწვერიძე, გია თორთლაძე;**

**22.05.2001 — გია თორთლაძე;**

**27.05.2003 — ბიძინა გუჯაბიძე;**

**21.05.2012 — გია თორთლაძე;**

**16.05.2019 — ავთანდილ ცინცაძე.**

**ზაზა წულაძე**

სუმო

# პოზიცია დავთმეთ



**ნაცუ ბაშოს მე-11 საშეჯიბრო დღე ლევან გორგაძისთვის წარუმატებელი გამოდგა. ტოჩინოშინის მეტოქე მეორე მაეგაშირა აბი იყო, რომლის ბარიერიც ჩვენებურმა ვერ დაძლია.**

25 წლის აზიელმა ტოჩი ჰატაკიკომის ილეთით მარტივად დაამარცხა და მიმდინარე ბაშოზე მე-7 გამარჯვება მოიპოვა. აღნიშნული წყვილი ერთმანეთს მეოთხედ შეხვდა და ლევანმა პირველი მარცხი განიცადა.

გორგაძის დღევანდელი ოპონენტი მეშვიდე მაეგაშირა მაისეი იქნება. ტოჩის მასთან აქამდე არცერთი ორთაბრძოლა არ აქვს ჩატარებული.

ტოჩინოშინის მსგავსად, მარცხი განიცადა კაკურიუმაც. იოკოძუნა სეკივაკე მაიამოტომ ოშიდაშის ილეთით დაამარცხა. ეს აღნიშნული დუეტის მეოცე დაპირისპირება იყო და კაკურიუს მოგება-წაგების ბალანსი 11:9-ზე გაუხდა.

ნაცუ ბაშოს კი ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს. წლის მესამე სუპერტურნირზე ასანოიამამ მე-10 გამარჯვება მოიპოვა და დაწინაურდა. რანგით მეხუთე მაეგაშირა ამჯერად სადანოუმს დაუპირისპირდა და იორიკირის ილეთით გაიმარჯვა. მისი დღევანდელი მეტოქე ტამავაში იქნება.

მიმდინარე ბაშოზე 8:3 ბალანსი მხოლოდ ერთ მონაწილეს, კოტოეკოს აქვს, 7 მოგება და 4 მარცხი კი გოეიდოს, ტაკარაფუჯის, ტაკაიასუს, აბის, რიუდენს, მაისეის და ენჰოს მოუგროვდათ.

**კობა კობახიძე**

კალათბურთი

# ზედიზედ მეხუთედ!

**გამოვლინდა ნბა-ს პირველი ფინალისტი. როგორც მოსალოდნელი იყო, ესაა „გოლდენ სტეიტ უორიორზი", რომელმაც დასავლეთ კონფერენციის უკანასკნელი პლეი-ოფი 4:0 მოუგო „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსს" და ზედიზედ მეხუთედ იბრძოლებს ტიტულისთვის.**

მართალია, ოკლენდელებს ჯერაც არ დაბრუნებიათ ტრავმირებული სნაიპერი კევინ დურანტი, და ცენტრი დემარკუს კაზინსი, მაგრამ სოლისტები არც მათ არყოფნაში აკლიათ.

ეს სერიის დასკვნით ბრძოლაშიც დადასტურდა, რომელშიც „ოქროს ბეჭდის" კიდევ ერთხელ მოპოვების მთავარმა ფავორიტმა სტუმრად დამატებით დროში გაიმარჯვა — 119:117 და ანდრე იგუოდალაც დაკარგა.

ეს წარმატება, უპირველესად, სამმაგი დუბლის ავტორებმა სტეფ კარიმ (37 ქულა, 13 მოხსნა 11 პასი) და დრეიმონდ გრინმა (18 ქულა, 14 მოხსნა, 11 პასი) გამოჭედეს, კლეი ტომპსონმა კი ამჯერად 17 ქულა და 6 მოხსნა იკმარა.

„მებრძოლთა" მომავალ მეტოქეს „მილუოკისა" და „ტორონტოს" გაჭიანურებული დუელი დაასახელებს, რომელშიც 0:2 ჩამორჩენის შემდეგ კანადელებმა შინ ზედიზედ ორჯერ იძალეს და ანგარიში გაათანაბრეს — 2:2.

ჰოკეი

# თავდაავიწყება აწი იწყება

**დღეს სლოვაკეთში იწყება მსოფლიოს ჩემპიონატის პლეი-ოფის ეტაპი — გაიმართება მეოთხედფინალური შეხვედრები, რომელშიც მეტოქენი ასე დაწყვილდნენ: კანადა — შვეიცარია, ფინეთი — შვედეთი, ჩეხეთი — გერმანია და რუსეთი — აშშ.**

როგორც სპეციალისტები ვარაუდობდნენ, ჯგუფური რაუნდი რუსეთის „ოცნების გუნდის" ბენეფისად იქცა, რომელიც ერთადერთია, ჯერჯერობით უდანაკარგოდ რომ თამაშობს.

ერთი შეხედვით, მართლაც ძნელად გვესახება, ვინმემ კოვალჩუკის, მალკინის, ოვეჩკინის, კუჩეროვის ან კაპრიზოვის შეჩერება მოახერხოს, მაგრამ ოლიმპიურ სტსტემას რომ მოვლენათა გაუთვალისწინებელი სცენარით განვითარებაც ახლავს თან, ესეც ფაქტია, მით უმეტეს მაშინ, როცა თანდათან უმატებს კანადა და მათი ტრადიციული ოპონენტები — ჩეხეთი და შვედეთიც ღირსეულად გამოიყურებიან.

**„ა" ჯგუფი:** კანადა — 18, ფინეთი — 16, გერმანია — 15, აშშ — 14, სლოვაკეთი — 11, დანია — 6, ინგლისი, საფრანგეთი — 2-2 ქულა.

**„ბ" ჯგუფი:** რუსეთი — 21, ჩეხეთი — 18, შვედეთი — 15, შვეიცარია I 12, ლატვია — 9, ნორვეგია — 6, იტალია — 2, ავსტრია — 1 ქულა.

**გიორგი შოთაძე**

რკინის ლეგენდა

# წავიდა... დარჩა

**სპორტული სამყარო უდიდესმა მწუხარებამ მოიცვა — 70 წლის ასაკში გარდაიცვალა ლეგენდარული ავსტრიელი ავტომრბოლი, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ფორმულა 1-ში ნიკი ლაუდა. მან ორჯერ — 1975 და 1977 წლებში „ფერარის" მოუტანა ტიტული, ხოლო ერთხელ — 1985 წელს — „მაკლარენს".**

171 რბოლის მონაწილემ 25 ეტაპი მოიგო, 54-ჯერ ავიდა პოდიუმზე, 24 პოული მოიპოვა და ამდენჯერვე დააფიქსირა უსწრაფესი წრე. დაგვეთანხმებით, შთამბეჭდავი კარიერაა.

არადა, ამას მიაღწია ზეადამიანმა, რომელიც 1976 წელს გერმანიის „ნიურბურგრინგის" ტრასაზე მომხდარი საშინელი ავარიის შედეგად თავისა და სახის ძლიერი დამწვრობისა და მხუთავი აირისგან მოწამვლის გამო კომაში ჩავარდა, მაგრამ უკვე თვენახევარში (!) რკინის რაშს დაუბრუნდა და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა იმ სეზონის ტრიუმფატორს ჯეიმს ჰანტს.

საფუძვლიანად ჯანმრთელობაშერყეული ალპური სახელმწიფოს საამაყო შვილი ბოლიდთან განშორების შემდეგაც მისთვის ყველაზე პრესტიჟულ პროფესიას ემსახურებოდა, როგორც ექსპერტი და ჟურნალისტი, მოგვიანებით კი „მერსედესის" არაალმასრულებელი დირექტორი გახდა და გუნდთან ერთად კიდევ ხუთჯერ იზეიმა გამარჯვება.

ტრაგიკული ბედის ერთ-ერთ ვარსკვლავს 1997 და 2005 წლებში თირკმელი გადაუნერგეს, ხოლო შარშან ზაფხულში ფილტვის ტრანსპლანტაციის ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ მაინც ვერ უშველეს...

**ვიტალი ჯაფარიძე**



# თავის მართლებას ამას ჰქვია



**საფეხბურთო მატჩების ჩაწყობის საქმეზე დაკავებული ფეხბურთელების აღკვეთის ღონისძიების საკითხზე თბილისის საქალაქო სასამართლოში პროცესი მიმდინარეობს.**

ფეხბურთელმა ლაშა ჩაფიძემ თავის სიტყვაში მოსამართლეს მიმართა და თქვა, რომ „შეცდომა დაუშვა“.

„შეცდომა დავუშვი. დედა მყავს ცუდად. ასევე 22 ივნისს მაქვს ქორწილი და გთხოვთ, ეს ყველაფერი გაითვალისწინოთ“, — განაცხადა ფეხბურთელმა.

# ზუგდიდში 9 წლის ბავშვს მანქანა დაეჯახა



**მოზარდი ზუგდიდის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანეს. მას ქალა-ტვინის დახურული ტრავმა, ცხვირის ძვლის მოტეხილობა აღენიშნება.**

შს სამინისტრომ მომხდარზე გამოძება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

# „საკუთარი თავისთვის ტკივილის მიყენება მინდოდა“



**„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ აღაიანში მომხდარი შემზარავი დანაშაულის საქმეში 16 წლის დედის აღიარებითი ჩვენება დევს. არასრულწლოვანს 7 თვის შვილის განზრახ მკვლელობას ედავებიან.**

„საკუთარი თავისთვის ტკივილის მიყენება მინდოდა“ — წერს მ.შ. ჩვენებაში. ახალგაზრდა აღიარებს იმასაც, რომ ბავშვის გაგუდვის შემდეგ სახლიდან ფული, ძვირფასეულობა და ტანსაცმელი წაიღო.

ჩვენებაში დაკავებული დეტალურად აღწერს, როგორ გაგუდა შვილი. მისი მონაყოლით, საზარელი დანაშაული მაშინ ჩაიდინა, როცა ყველას ეძინა და ბავშვი ჩაცმულ მდგომარეობაში საწოლზე დატოვა.

აღაიანში მცხოვრებთა ნაწილი ამბობს, რომ გოგონა ჩვილს ხშირად უყვიროდა.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

# ფოთში 45 წლამდე მამაკაცი ტბაში დაიხრჩო



**გავრცელებული ინფორმაციით, მამაკაცს თევზაობისას ფეხი დაუცდა და წყალში გადავარდა. ადგილზე მობილიზებული იყო სამაშველო სამსახური და პოლიცია. მამაკაცის ცხედარი მაშველებმა რამდენიმესაათიანი ძებნის შემდეგ იპოვეს.**

მომხდარზე გამოძიება 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# მეუღლესა და შვილებს მოკვლით ემუქრებოდა!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ოჯახში ძალადობის და ოჯახური დანაშაულის ნიშნით ჩადენილი მუქარის ბრალდებით, 1983 წელს დაბადებული ზ.ჯ. დააკავეს.**

ვაკე-საბურთალოს სამმართველოში შემოვიდა შეტყობინება, რომ თბილისში, მოქალაქეს საკუთარ საცხოვრებელ სახლში ჩაკეტილი ჰყავდა მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, რომლებზეც ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახორციელებდა და სიცოცხლის მოსპობით ემუქრებოდა.

სამართალდამცველები შეტყობინების მიღებიდან უმოკლეს დროში გამოცხადნენ ადგილზე. პოლიციის არაერთი მოწოდების მიუხედავად, მოქალაქე არ გამოდიოდა კავშირზე და კარს არ აღებდა. ადგილზე გამოძახებულ იქნა სამართალდამცველთა დამატებითი ჯგუფები და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებმაც საცხოვრებელ ბინაში სპეცტექნიკის გამოყენებით შეაღწიეს და ზ.ჯ. დააკავეს.



დაკავებულის ოჯახს საფრთხე აღარ ემუქრება.

## სულთათანა

**შვილი მზია გვალია, და ცისანა კუჭუხიძე, სიძეები მამუკა ადამია, სანდრო ჯაფარიძე, რძლები თამრიკო სიჭინავა, მაკა ნოზაძე, ლამარა ჩაბრავა, ჟუჟუნა კუპრეიშვილი, შვილიშვილები გვანცა, ბექა გვალიები, თამუნა, გიგა ადამიები, მძახლები გოგი, ლამარა სიჭინავები, ძმისშვილები და დისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

## ნოდარ გვალია

**პანაშვიდი 23, 24 V, სენაკის რაიონი, სოფელი მენჯი. გამოსვენება 25 V, 15 საათზე, თბილისის საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.**

---

**ლალი ჩხეიძე და გივი ჯაფარიძე ოჯახით თანაუგრძნობენ მძახლებს — მზია გვალიასა და მამუკა ადამიას**

## ნოდარ გვალიას

**გარდაცვალების გამო.**

# დედაქალაქის 30 პროცენტს საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ ემსახურება!

ფრანგული კომპანია „სისტრა“ რამდენიმე კვირაში დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის კვლევას დაასრულებს. ამის შესახებ კომერსანტს მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსმა მამუკა მუმლაძემ განუცხადა. მისი თქმით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მხრივ, დედაქალაქის 30 პროცენტი დაფარვის ზონის გარეშეა, რაც რეალურად დიდ პრობლემას ქმნის.

**„კომპანია „სისტრას“ კვლევამ აჩვენა, რომ დედაქალაქში უნდა გაიზარდოს საზოგადოებრივი დაფარვის ზონები. განისაზღვრა წარმოდგენილ დერეფნებსა და ზონებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის რომელმა ტიპმა უნდა იმოძრაოს. თბილისის მერიამ არ იცოდა რა რაოდენობის ავტობუსი ეყოფოდა დედაქალაქს და რამდენი ავტობუსი გახდება მომავალში საჭირო. დღეს ეს ინფორმაცია ჩვენ გვაქვს. ამ დროისთვის თბილისს ჰყავს 800 ერთეულამდე ავტობუსი, ესენია 12 და 8-მეტრიანი ავტობუსები. სამომავლოდ 850 ერთეული საკმარისი იქნება, რათა მომსახურება იყოს მაღალი ხარისხის“,** — განაცხადა მამუკა მუმლაძემ.



კითხვაზე, რომელი უბნებია თბილისისთვის ყველაზე პრობლემური, მამუკა მუმლაძე განმარტავს:

**„პრობლემა ყველა უბანზე არის, თუმცა გამოკვეთით ეს არის დიდი დიღომი, ზემო ფონიჭალა, ვარკეთილის მესამე მასივი, გლდანი და ის უბნები, სადაც მომსახურების ნაწილში დაფარვის ზონა საერთოდ არ არის“,** — განმარტავს მამუკა მუმლაძე.

შეგახსენებთ, რომ დედაქალაქში საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელის კვლევაზე თბილისის მერიამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან საგრანტო ხელშეკრულება 2018 წელს გააფორმა. კომპანიას დოკუმენტის მოსამზადებლად 15-თვიანი ვადა მიეცა. მუშაობის დასრულების შემდეგ ფრანგული კომპანია „სისტრა“ თბილისის მერიას ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის დეტალურ გეგმას შესთავაზებს. პროექტის საერთო ღირებულება 800 000 ევროს შეადგენს, საიდანაც 500 000 ევროკავშირის გრანტია, ხოლო 300 000 თბილისის მერიის დაფინანსება.

---

# იტალიაში ბინის ქურდობის ბრალდებით ოთხი ქართველი დააკავეს

**როგორც იტალიური მედია იუწყება, დაკავებულებმა ჩრდილოეთ ტიროლში მდებარე ბოლცანოში, სახლიდან 20 000 ევროს ღირებულების ნივთები მოიპარეს.**

გამოძიების ცნობით, დაკავებულია სომხეთში დაბადებული 33 წლის ქართველი, რომელიც იტალიაში ცხოვრობს. ასევე, საქართველოს ორი მოქალაქე, რომელთა ასაკი 34 და 37 წელია, რომლებიც ქურდობის ორგანიზატორებად სახელდებიან. მეოთხე დაპატიმრებული 60 წლის ქართველია, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს.



გამოძიების ცნობით, ბრალდებულები თვითმხილველის დახმარებით დააკავეს, რომელმაც პოლიციას სახლთან გაჩერებული საეჭვო მანქანის შესახებ შეატყობინა. დაკავებულებს კიდევ რამდენიმე სახლის გაქურდვაში ადანაშაულებენ.

# დამოუკიდებლობის დღე საქართველო-რუსეთის საზღვარზეც აღინიშნება




საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და შემოსავლების სამსახური 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებას საბაჟო გამშვებ პუნქტ „ყაზბეგის“ ტერიტორიაზე აღნიშნავს. ღონისძიება 13:00 საათზე დაიწყება.

**„სტუმრებს, ტურისტებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს, შესაძლებლობა ექნებათ, დაათვალიერონ საგამოფენო სივრცეები, სადაც წარმოდგენილი იქნება უნიკალური ისტორიული და საარქივო ფოტომასალა, საინფორმაციო სტენდების საშუალებით გაიზიარონ ცოდნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში განთავსებულ ხუროთმოძღვრების ძეგლების, გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების, სხვადასხვა საინტერესო ფაქტებისა და მოვლენების შესახებ.**

**ასევე წარმოდგენილი იქნება ადგილობრივი ხელნაკეთი ნივთებისა და სუვენირების გამოფენა-გაყიდვა. კამპანიის „გააზიარე ცოდნა“ ფარგლებში, წარმოდგენილი იქნებიან ქართველი მეწარმეები, რომლებიც ადგილზე მისულ სტუმრებს გაუზიარებენ საკუთარ სამეწარმეო გამოცდილებას, ამავე კამპანიის ფარგლებში, გაიმართება ნახატების გამოფენა.**

**საბაჟო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე იმუშავებს ლიტერატურული კაფე. ასევე იქნება სპეციალურად მოწყობილი სივრცე ბავშვებისთვის — ანიმატორები, საბავშვო შემეცნებითი გასართობი პროგრამა. ბავშვები ფერადი ცარცით მოხატავენ საქართველოს რუკას;**

**სპეციალურად სტუმრებისთვის მოწყობილ სადღესასწაულო პავილიონებში შესაძლებელი იქნება ფინანსთა სამინისტროს სხვადასხვა სამსახურის სერვისებისა და მომსახურების, საინფორმაციო გზამკვლევებისა და ბროშურების, სასწავლო კურსებისა და ლიტერატურის გაცნობა, 26 მაისისადმი მიძღვნილი სამახსოვრო სუვენირების მიღება“,** — ნათქვამია შემოსავლების სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შემოსავლების სამსახურის ღონისძიებების დღის წესრიგსაც ავრცელებს: 15:00 საათზე გაიმართება საზეიმო კონცერტი. მონაწილეობას მიიღებენ სპეციალურად ამ დღისთვის მოწვეული ანსამბლები: „შავნაბადა“ და „ერისიონი“. ასევე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი „მთის შვილები“, ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „დიდება“ და ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ერობა“.

16:30 საათზე ღონისძიების ოფიციალური ნაწილია დაგეგმილი. სტუმრებს სიტყვით მიმართავს საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი და გაიმართება დაჯილდოების საზეიმო ცერემონია.

17:10 საათზე შესრულდება საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი.

# რუსთაველის თეატრის დასი გასტროლებზე მოსკოვში მიდის

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასი 8 და 9 ივნისს მოსკოვში გასტროლებზე მიდის. ისინი სპექტაკლს „ვანო და ნიკო“ მოსკოვის მოსსოვეტის სახელობის თეატრში წარადგენენ. ინფორმაციას ამის შესახებ sputnik-georgia.ru ავრცელებს.**



სპექტაკლის ჩვენება ჩეხოვის სახელობის თეატრიალური ფესტივალის ფარგლებში შედგება, რომელიც 14 მაისიდან 21 ივლისამდე ტარდება. +16 ასაკობრივი შეზღუდვის მქონე სპექტაკლის რეჟისორი და ინსცენირების ავტორი რობერტ სტურუაა, სპექტაკლი ქართულ ენაზე ჩაივლის, რუსული სუბტიტრებით. ქართული თეატრის სპექტაკლის ბილეთები მოსკოვში უკვე იყიდება.

ქართველი ხელოვნების ოკუპანტ რუსეთში გასტროლები მუდამ კრიტიკის საგანი ხდება საზოგადოების დიდი ნაწილის მხრიდან. ამის გამო კრიტიკის სამიზნე გახდა „მგზავრები“, „ერისიონი“ და ა.შ. განსაკუთრებით საყურადღებოა, როდესაც ოკუპანტ ქვეყანაში მიდის ისეთი შემოქმედებითი ჯგუფი, რომლის დაფინანსების მთავარ წყაროსაც სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს.

# „ერთხელ ჰოლივუდში“

**კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე კვენტინ ტარანტინოს ახალი ნამუშევრის პრემიერა შედგა. რეჟისორის რიგით მე-9 ფილმის ჩვენებას მაყურებლის მხრიდან რამდენიმეწუთიანი ოვაციები მოჰყვა.**

პრემიერამდე ორი ოსკარისა და „ოქროს პალმის რტოს“ მფლობელმა სცენარისტ-რეჟისორმა და მისი ახალი ფილმის მთავარმა ვარსკვლავებმა - ბრედ პიტმა, ლეონარდო დიკაპრიომ და მარგო რობიმ წითელ ხალიჩაზე ფოტოები გადაიღეს.

სტუდია „სონიმ“, რომელიც ტარანტინოს ახალი სურათის მწარმოებელია, ფილმის პრემიერის დღესვე ახალი სრული ტრეილერი გაავრცელა.

ფილმის სიუჟეტი მენსონის კრიმინალური ოჯახის შესახებ მოგვითხრობს. ისტორია 1969 წელს ვითარდება, როდესაც მენსონის ოჯახის ლიდერმა ჩარლზ მენსონმა თავის მიმდევრებს უბრძანა, რომ ლოს ანჯელესის გარეუბანში მდებარე სახლისთვის შეეტიათ. მენსონის დავალებით სასტიკად მოკლეს სახლში მყოფები, მათ შორის, მსახიობი შერონ ტეიტი, რეჟისორ რომან პოლანსკის ორსული ცოლი.



# სპილო „გრანდის“ ოპერაცია „ბიბისის“ ეთერში

**თბილისის ზოოპარკში სპილო „გრანდის“ ოპერაციაზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს „ბიბისი ორის“ ეთერში მსოფლიო მასშტაბით 6 ივნისს აჩვენებენ. ინფორმაციას თბილისის ზოოპარკი ავრცელებს.**

**პრემიერამდე „ბიბისიმ“ ფილმის ფრაგმენტი გაავრცელა.**

**„ახლა მთავარი სადარდებელია, არის თუ არა ის საკმარისად ძლიერი, რომ კვლავ ფეხზე დადგეს. ყველა იმედით ელოდება. „გრანდი“ გარეული ცხოველია და მისთვისაც კი ეს ამოცანა საფრთხეებთან არის დაკავშირებული“,** — ამბობს ფილმის ავტორი გავრცელებულ ფრაგმენტში.



თბილისის ზოოპარკის ბინადარ სპილო „გრანდს“ ეშვის ამოღების ურთულესი ოპერაცია 31 ოქტომბერს ჩაუტარდა. ოპერაციის პროცესი ტელეკომპანია „ბიბისის“ ახალ სერიალში „დიდი ცხოველების ოპერაციები“ (Big Animal Surgery) მოხვდა და შემოქმედებითმა ჯგუფმა გრანდის ისტორიას ერთი სრული ეპიზოდი დაუთმო.

თბილისის ზოოპარკის ინფორმაციით, აზიური მამრი სპილო „გრანდი“ ერევნის ზოოპარკიდან 2014 წელს უკვე მოტეხილი ეშვებით ჩამოვიდა. მათი თქმით, ამ მდგომარეობაში ცხოველის დიდი ხნით დატოვება დროთა განმავლობაში მის დაღუპვას გამოიწვევდა, ამიტომაც, სპილოს ჯანმრთელობისა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად, ოპერაციის გაკეთება და მოტეხილი ეშვების ამოღება გადაწყდა.

პირველი ოპერაცია „გრანდს“ 2014 წელს ჩაუტარდა. ოპერაცია გართულდა და ვეტექიმებმა მხოლოდ ერთი ეშვის ამოღება შეძლეს. ანესთეზიიდან გამოსული სპილოს წამოყენება მრავალსაათიანი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა.

„ბიბისის“ სერიალში სპილოს მეორე ოპერაციაა ასახული.


# მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

**განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.**

**გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.**

**ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.**

**(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).**


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

**ავტორთა საყურადღებოდ!**

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.**

**ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.**

**„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.7676; ევრო - 3.0848;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5135;
100 რუბლი - 4.2905; თურქული ლირა - 0.4573;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6279;
1000 სომხური დრამი - 5.7755.

**ამინდი 23 მაისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +10, | დღე | +28 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +6, | დღე | +24 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | | |
| ბარი - | ღამე | +8, | დღე | +24 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე | +18 |
| თბილისი: | ღამე | +14, | დღე | +24 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge